ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 19 ივნისი 2007 №138 (3061) ფასი 50 თეთრი

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტური

### დღეს პროფლიგა თავისას იტყვის





ჟორჟ აკიემი


დიდიე ოვონო

### ახალი აფრიკელები თბილისში

## დინამო ივსება, სიონი იშლება!

### ძველი აფრიკელები ბოლნისში


კახა ცხადაძის „სიონიდან“ ყველა წავიდა, კამერუნელი სამეულის გარდა

## მეორე საჩემპიონო სირენა

### ბოისამ იტალიაში ოქრო გამოძებნა



ვლადიმერ ბოისა საქართველოს ნაკრების მეორე ლეგიონერია, რომელმაც ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. გუშინწინ ღამე „სიენამ“ სერია A-ს ფინალური სერიის მესამე მატჩიც მოუგო ბოლონიურ „ვიდივიცის“ და მეორედ გახდა იტალიაში საუკეთესო.

სერიის წინა მატჩებისგან განსხვავებით, ეს თამაში გვარიანად დაძაბული გამოდგა. ბოლონიელები თავიდანვე რომ დაწინაურდნენ, ბოლოსწინა წუთამდე ინარჩუნებდნენ ლიდერობას. დიდებულად ითამაშა ახალგაზრდა იტალიელმა გოლიათმა ანდრეა კროსარიოლმა, რომელმაც თამაშიდან ნატყორცნი 10 ბურთიდან 9 ჩააგდო. მისი ძალისხმევით ბოლონიელებმა 11 ქულით მოიგეს ტაიმი, მაგრამ მასპინძლებმა საბოლოოდ მაინც გაიტანეს თავისი — ფინალების უძვირფასესმა მოთამაშე რიმანტას კაუკენასმა ბოლოსწინა წუთზე სამქულიანი ჩააგდო, რასაც ზუსტი საჯარიმოც მიაყოლა და სიენელებს ჩემპიონობა გაუნაღდა.

სამწუხაროდ, ამ მატჩში არ უთამაშია ვლადიმერ ბოისას და, საერთოდ, ის ამ ბოლო თამაშებში ძალიან მცირე ხნით გადიოდა მოედანზე. ამ სამ ფინალურ მატჩში ვოვამ მთლიანობაში 10 წუთი ისე ითამაშა, ქულაც არ მოუპოვებია.

# გაბონური წყვილი დინამოში
## ოვონოს და აკირემის ბედს დუშან უჰრინი გაარკვევს





**მეკარე** დიდიე ოვონო და ფორვარდი ჟორჟ აკირემი — ორივენი გაბონის ნაკრების ფეხბურთელები არიან, საინტერესო კი ისაა, რომ, სავარაუდოდ, ისინი მალე თბილისის „დინამოში“ ჩამოვლენ გასინჯვაზე. ამის შესახებ საქართველოს ნაკრების ყოფილი მწვრთნელის, ალენ ჟირესის ყოფილმა თანაშემწემ, გია გურულმა გვაცნობა.

გეცოდინებათ, გურულის რეკომენდაციით საქართველოს ჩემპიონ რუსთავის „ოლიმპშიც“ ელიან რამდენიმე აფრიკელ ფეხბურთელს.

გურულმა გვითხრა, მეკარე ოვონოს ამბავი გადაწყვეტილია,, იგი ამ დღეებში აუცილებლად ჩააკითხავს „დინამოს“, აკირემის საკითხი კი დღე-დღეზე უნდა გაირკვეს.

ოვონო და აკირემი თანატოლები, 1983 წელს დაბადებულები არიან. მეკარე ესპანეთის ერთ-ერთ ქვედადივიზიონულ კლუბ „რუბიში“ თამაშობს, ფორვარდი კი გაბონის „სოგეაში“ ირჯება.

გუშინწინ ალენ ჟირესის გაწვრთნილმა გაბონის ნაკრებმა აფრიკის თასის შესარჩევ მატჩში სტუმრად 2:0 მოუგო მადაგასკარს და პირველი გოლი სწორედ აკირემიმ გაიტანა.

ამ შეხვედრაში ითამაშა ოვონომაც და ასევე „ზესტაფონის“ საყრდენმა ნახევარმცველმა პოლ კესანმაც.

შეგახსენებთ, რომ „დინამოსთან“ ერთად უკვე ვარჯიშობს ერთი აფრიკელი — კამერუნელი ფორვარდი რაიმონდ ვოუკოუე რამდენიმე დღის წინ ჩამოვიდა თბილისში.

**ილია ნანოგაშვილი**

# ასათიანს ხვალ ველით
## პერმის ამკარი და მისი ჯანი?



**საქართველოს** ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ ერთ-ერთი ლიდერის, მალხაზ ასათიანის მოედანზე გამოსვლა აქამდე რომ გაჭიანურდა, იცით.

ხვალ რუსული პრემიერლიგის მორიგ ტურში „ლოკომოტივი“ შინ პერმის „ამკარს“ ხვდება და, დიდი შანსია, ასათიანი სწორედ ამ მატჩში დაუბრუნდეს მოედანს.

ქართველი ფეხბურთელი უკვე სრულ ჯანზეა, ფეხი აღარ აწუხებს და დატვირთვებსაც აღარ ერიდება. ასე რომ, უკვე მწვრთნელებზეა დამოკიდებული მისი დაბრუნება.

შეგახსენებთ, რომ მალხაზს შარშან სექტემბრის მერე აღარ უთამაშია — მოსკოვის ცესკასთან უპრინციპულეს ჯახში ხორვატმა ივიცა ოლიჩმა უმძიმესი ტრავმა მიაყენა და მას შემდეგ რამდენიმე სარეაბილიტაციო პერიოდი გაიარა გერმანულ რუიტში.

მოკლედ, ეს ურთულესი პერიოდი უკვე წარსულს მიბარდა და ხვალ მალხაზს „ლოკომოტივის“ წითელ-მწვანე მაისურაში ველით...

**კახა ზალამბერიძე**

# სირაძე უკვე მზადაა
## ტრავმამოშუშებულ ქართველს გერმანელები წინ ხედავენ



**ერცგებირგეს** აუე-დან „პადერბორნში“ გადასულ დავით სირაძეს გასული სეზონის ბოლო მატჩებში აღარ უთამაშია — ტრავმა მიიღო და ამის გამო სანაკრებო მატჩებიც გამოტოვა ლიტვასა და საფრანგეთში. 25 წლის სირაძე ამჟამად თბილისშია და „პადერბორნს“ მალე ჩააკითხავს...

„ფეხი უკვე მოვირჩინე და ახლა ინდივიდუალური პროგრამით ვემზადები ახალი სეზონისთვის. „პადერბორნს“ ჯერ ზოგადად ვიცნობ, მაგრამ უკვე შემიძლია ვთქვა, რომ კარგი გუნდი გვეყოლება. „პადერბორნმა“ უკვე შვიდი თუ რვა ახალი ფეხბურთელი დაიმატა, მათ შორის, გელზენკირხენის „შალკედან“ ტომაშ კლასნერი, „კაიზერსლაუტერნიდან“ კი მეკარე ალექსანდერ ბადე. ალბათ, გუნდი ბუნდესლიგაში გადასვლისთვის იბრძოლებს“.

სირაძეს ადრე ნახევარდაცვაშიც უთამაშია და საინტერესოა, ხომ არ არის იმის ალბათობა, რომ „პადერბორნშიც“ ძველ ამპლუას დაუბრუნდეს?

დავითმა გვითხრა, ახალ გუნდს ცენტრფორვარდად ვჭირდებიო: „მართალია, ახალ გუნდში კონკურენცია საკმაოა, მაგრამ ეს კარგიცაა და ამას ყოველთვის მივესალმები“.

და ერთიც: „გულით ვულოცავ შოთა არველაძეს „სარბიელის“ გამოკითხვაში გამარჯვებას. მას მართლაც ჩინებული სეზონი ჰქონდა და საუკეთესოობას ალალად იმსახურებდა. ასევე კარგად დაგვამახსოვრეს თავი ლევან კობიაშვილმა, კახა კალაძემ, ალექსანდრე იაშვილმა“ — გვითხრა ბოლოს დავითმა.

**ნუკრი ლოლაძე**



კახა ცხადაძე

# სიონი ილუპება!
## რა ვუთხრათ ცხადაძეს?

**როგორც** ჩანს, ვერ არის კარგად ბოლნისის „სიონის“ საქმე. კლუბიდან თითქმის ყველა ფეხბურთელმა აიღო გათავისუფლების ფურცელი და საქართველოს შარშანდელი ჩემპიონი სრულ ქაოსში და გაურკვევლობაშია. კაცმა არ იცის, საერთოდ იარსებებს თუ არა „სიონი“ მომავალ სეზონში.

კლუბის გენერალურმა მენეჯერმა *ჯემალ ჭიპაშვილმა* კი ეს გვითხრა:

— ჯერჯერობით დაფინანსების წყარო არსად ჩანს. ფეხბურთელებიც გარბიან, ჩვენთან მხოლოდ აფრიკელი ლეგიონერები და ადგილობრივები დარჩნენ და თუ ეს გაურკვევლობა გაგრძელდა, ისინიც გაგვეცლებიან. მწვრთნელ კახა ცხადაძეს კლუბთან კონტრაქტი 1 ივლისს უმთავრდება და ასეთ ვითარებაში რა პირით ვუთხრათ, რომ დარჩეს?!

**ნუკრი ლოლაძე**




საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა და ფეხბურთის ფედერაცია თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში, მართავს საფეხბურთო გალა-დაჯილდოების ცერემონიალს. ლაურეატები გამოვლინდებიან 11 ნომინაციით. 2 მთავარი ნომინაციის მიხედვით დასახელდებიან საუკეთესო ლეგიონერი და საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი. ღონისძიება გაიმართება 2007 წლის 19 ივნისს 19:30 წუთზე. ბილეთის ფასი: პარტერი-10 ლარი, ბალკონი-5 ლარი.
საკონტაქტო ნომრები: საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა.
ტელ.: +995-32-912671; +995-32-917126.
პფლ-ს პრესსამსახური

**ნორვეგია**

ტიპელიგა
X ტური

ოდ გრენლანდი 1:2 რუსენბორგი

**ფინეთი**

ვეიკაუსლიგა
X ტური

ჰონკა 0:0 ლაჰტი

**შვედეთი**

ალსვენსკა
X ტური

ელფსბორგი 2:0 ტრელებორგი
გეფლე 0:0 აიკ
ჰელსინგბორგი 1:1 გაის

სუპერეტა. X ტური

სილვია 3:3 ატვიდაბერგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვარლამ კილასონია: ვნახოთ აფრიკა და ვნახოთ კენჭისყრა

29 ივნისს შვეიცარიულ ნიონში ევროტურნირების კენჭისყრა გაიმართება და ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე რუსთავის „ოლიმპის" მეტოქეც გაირკვევა. მანამდე კი საქართველოს ჩემპიონი მზადებაშია — „ოლიმპი" რამდენიმე დღე „მიხეილ მესხის" სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე ფიზიკურად ემზადებოდა, გუშინდლიდან კი ბურთიანი ვარჯიშებიც დაიწყო.
რუსთაველთა ამბებზე გუნდის მთავარ მწვრთნელ ვარლამ კილასონიას ვესაუბრეთ...



## ონიანი წავიდა, სეთურიძე წავა, ჯიქია მოვიდა

— ამჟამად თბილისში, „ნორჩი დინამოელის" მინდორზე ვემზადებით. ზეგიდან ორჯერად ვარჯიშებზე გადავალთ, ანუ დატვირთვები გაიზრდება.

— ლიგის საკვალიფიკაციო მატჩები ივლისშია და მანამდე უცხოეთში ხომ არ აპირებთ შეკრებას?

— არ ვიცი. ეს საკითხი ხუთი უცხოელი ფეხბურთელის დროულად ჩამოსვლაზეცაა დამოკიდებული: მათ გასინჯვაა საჭირო, ამას კი, ცხადია, დრო უნდა.

— კონკრეტულად ვერ გვეტყვით უცხოელთა ვინაობას?

— ვიცი, რომ სამივე აფრიკელია, მათგან ერთი გაბონელია, ერთი კამერუნელი, ერთიც — კონგოელი. პირადად მე ნაღდად არ დავლაპარაკებივარ გია გურულს, რომელმაც ეს უცხოელები შეგვირჩია.

— „ოლიმპს" უფრო თავდასხმაში უჭირს და უცხოელებს შორის, ალბათ, ამ ამპლუის ფეხბურთელები უნდა იყვნენ...

— ერთი მათგანი მცველია, ერთი ნახევარმცველი და ერთიც ფორვარდი. მეტს ვერაფერს გეტყვით, მათი ყოფილი გუნდების სახელებიც არ ვიცი...

— დღესდღეობით რა კონტინგენტით ვარჯიშობს „ოლიმპი", ახლები არ გამოჩენილან გუნდში?

— ათი დღის წინ ვარჯიში რა კონტინგენტითაც დავიწყეთ, მათ მხოლოდ გიორგი ონიანი გამოაკლდა. ჩვენთანაა გიორგი სეთურიძეც, თუმც ისიც წასვლას აპირებს. სხვებსაც აქვთ რაღაც ვარიანტები, მაგრამ ვნახოთ... რაც შეეხება ახლებს, გია მეგრელაძეზე უკვე იცით, მის მერე კი გუნდს „ბორჯომიდან" ფორვარდი შოთა ჯიქია შეუერთდა.

— ალბათ, ქართული კლუბებიდან კიდევ აპირებთ ვინმეს დამატებას...

— არა მგონია. ვინც გამორჩეული ფეხბურთელია, „ამერს", „ზესტაფონს" და „დინამოს" ჰყავს, დანარჩენები კი „ოლიმპის" დღევანდელ მოთამაშეებზე უკეთესები არ არიან.

— კლუბის ხელმძღვანელობამ ლიგის საკვალიფიკაციოზე და მომავალი სეზონისთვის რა მიზნები დაგისახათ?

— რა თქმა უნდა, ეროვნულ ჩემპიონატში და თასზე წარმატებით თამაში. აქაური მიზნები უმაღლესია, ჩემპიონთა ლიგაზე კი ვნახოთ, კენჭისყრას დაველოდოთ...

**ილია ნანობაშვილი**

# ზურაბ იონანიძე — ტრანსფერი? იჯარა!

## ზესტაფონის ტობოლისწინა დეტალები



23 ივნისს ინტერტოტოს თასის „ტობოლ" — „ზესტაფონის" მატჩი ჩვენი დროით 18 საათსა და 30 წუთზე დაიწყება. არადა, აქამდე ცნობილი იყო, რომ შეხვედრა 16 საათზე უნდა გამართულიყო, თუმც უეფამ ყაზახურ მხარეს მიუთითა, ნამეტანი ადრე გამოვა თამაშიო.

ისე, თუ ვინმეს დააინტერესებს, ამ მატჩს ყაზახური ტელეარხი LARNA გადასცემს.

თემურ მახარაძის „ზესტაფონმა" სეზონისწინა მზადების პირველი მატჩი გამართა და თბილისის „ლოკომოტივს" 2:1 სძლია. ეს შაბათს იყო, მას შემდეგ კი გუნდის შემადგენლობაში არც არაფერი შეცვლილა.

და ზურაბ იონანიძის საკითხიც: როგორც ვწერდით, „ზესტაფონმა" იგი ტრანსფერზე დააყენა, თუმც კლუბის პრესსამსახურის უფროსმა სერგო ფუტკარაძემ გვაცნობა, სავარაუდოდ, იონანიძეს გავანათხოვრებთო. ცოტა კი არა, ძალიან უცნაურია, 36 ასაკში ვინმე გაენათხოვრებინოთ, აქამდე ძალიან იშვიათად თუ გაგვიგია...

**ილია ნანობაშვილი**

# ამერმა თასი გაამრთელა

## პროფლიგა: ახალი სეზონიდან ახალი

26 მაისს „ეროვნულზე" თბილისის „ამერს" საქართველოს თასი გაუტყდა. ეს ამბავი, ცხადია, უმალ აღინიშნა, რაკი თასი ყოველდღე არ ტყდება. თუმცა არც უამისობაა. ძველ ამბებს ნუ ჩავეძიებით და, იმ 26 მაისის მერე ჯერ მოსკოვის „ლოკომოტივს" გაუტყდა რუსეთის თასი, მერე ლონდონის „ჩელსის" ინგლისისა.

თასის გატეხვის ამბავი, კაცმა რომ თქვას, ისტორიისთვის და ამბის მოსაყოლად საინტერესოც არის, ოღონდ, ისეც არ გაგვიგოთ, თასების შეგნებულად მტვრევის მომხრენი ვიყოთ.

რუსეთისა და ინგლისის თასებისა, აბა, რა გითხრათ, იმით კი დავინტერესდით, საქართველოს გატეხილ თასს რა ბედი ეწია...

რა და, „ამერის" ოფისში უკვე გამრთელებული თასი ინახება და სამუდამოდაც — პროფლიგის გადაწყვეტილებით, მომდევნო სეზონიდან გუნდები ახალი თასისთვის იბრძოლებენ.

**ლუკა თალაკვაძე**





# ჭიათურა: ვისზე ნაკლებნი ვართ?!

## მაღაროელმა უმაღლესი ლიგა დაისახა

ჭიათურის „მაღაროელმა" ერთი წლის შემდეგ უმაღლეს ლიგაში უნდა ითამაშოს — ასეთი მიზანი დაისახა კლუბის ხელმძღვანელობამ. „მაღაროელის" პრეზიდენტი თემურ ბიწაძე კლუბში არსებულ ვითარებაზე გვესაუბრა...

— გასულ სეზონში ვერ მოვახერხეთ უმაღლესში გადასვლა, მაგრამ ამჯერად ეს უნდა გავაკეთოთ. მთავარ მწვრთნელად ბადრი ბრეგვაძე მოვიყვანეთ, რომელმაც თავის დროზე საჩხერის „ჩიხურა" გადაიყვანა უმაღლეს ლიგაში. იგი ჭიათურელი კაცია და, როგორც ფეხბურთელს, ბევრი საქმე გაუკეთებია „მაღაროელისთვის" და იმედი გვაქვს, თავის სათქმელს მწვრთნელობის დროსაც იტყვის. რამდენიმე ფეხბურთელი უკვე დავიმატეთ „ჩიხურადან" — ლაშა ეგაძე, შალვა დოლაძე, ლაშა ვაშაკიძე, ირაკლი ზაბახიძე, მირიან მიქაძე. მათ კიდევ რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი შეუერთდება. გასული სეზონის „მაღაროელიდან" მხოლოდ შვიდი მოთამაშე დავიტოვეთ და, ვფიქრობ, ამ კონტინგენტით მიზნის მიღწევა არ უნდა გაგვიჭირდეს...

...მოგეხსენებათ, ფინანსების გარეშე არაფერი გამოვა და რაიონის ხელმძღვანელობაც ყველაფერს აკეთებს, რათა „მაღაროელს" კარგი პირობები შეუქმნას. რაიონის საკრებულოს თავმჯდომარე ნუკრი ჭუმბურიძე და მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე მამუკა გოგატიშვილი ერთობლივი ძალებით გვიდგანან გვერდში და მადლობის მეტი რა მეთქმის...

...აქვე მინდა ვთქვა, რომ დახმარებას დაგვპირდა „ჯორჯიან მარგანეცის" გენერალური მენეჯერი აკაკი გურჯიძეც, რომელსაც „მაღაროელისთვის" არაერთხელ გაუმართავს ხელი...

...ჭიათურაში რამდენიმე კარგი მოედანია, სადაც „მაღაროელმა" უნდა ივარჯიშოს. თემურ მაღრაძის სახელობის სტადიონიც ნორმალური მდგომარეობაში შეხვდება სეზონს...

...გუნდი 1 ივლისს ჭიათურაში შეიკრიბება, 15 ივლისს კი ბაკურიანში ვგეგმავთ ორკვირიან შეკრებას. „მაღაროელს" ერთგული გულშემატკივარი ჰყავს, თამაშზე საშუალოდ ორი ათასი კაცი დადის და გვინდა, ისინი უმაღლეს ლიგაში გადასვლით გავახაროთ".

**ნუკრი ლოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული გუნდი

| № | თარიღი | ს | რ | მეტოქე | ანგ | მეგოლეები |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 02/09/92 | ს | ამ | ლიტვა | 0:1 | |
| 2 | 17/09/92 | შ | ამ | აზერბაიჯანი | 6:3 | ყიზილაშვილი (2), გ. დარასელია, შ. არველაძე, გოგიჩაიშვილი, გ. ჯიშკარიანი |
| 3 | 22/12/92 | ს | ამ | კვიპროსი | 0:1 | |
| 4 | 25/05/93 | ს | ამ | აზერბაიჯანი | 0:1 | |
| 5 | 08/02/94 | ნ | სტ | სლოვენია | 0:1 | |
| 6 | 10/02/94 | ს | სტ | მალტა | 1:0 | ქეცბაია |
| 7 | 12/02/94 | ნ | სტ | ტუნისი | 2:0 | ყაველაშვილი, კუდინოვი |
| 8 | 23/02/94 | ს | ამ | ისრაელი | 0:2 | |
| 9 | 11/06/94 | ს | ამ | ნიგერია | 1:5 | რ. არველაძე |
| 10 | 26/06/94 | ს | ამ | ლატვია | 3:1 | დ. ჯანაშია, კაჭარავა, ჯამარაული |
| 11 | 19/07/94 | შ | ამ | მალტა | 1:1 | შ. არველაძე |
| 12 | 07/09/94 | შ | ეჩ | მოლდოვა | 0:1 | |
| 13 | 12/10/94 | ს | ეჩ | ბულგარეთი | 0:2 | |
| 14 | 16/11/94 | შ | ეჩ | უელსი | 5:0 | ქეცბაია (2), ქინქლაძე, შ. არველაძე, გოგრიჭიანი |
| 15 | 14/12/94 | ს | ეჩ | ალბანეთი | 1:0 | შ. არველაძე |
| 16 | 29/03/95 | შ | ეჩ | გერმანია | 0:2 | |
| 17 | 26/04/95 | შ | ეჩ | ალბანეთი | 2:0 | შ. არველაძე, ქეცბაია |
| 18 | 07/06/95 | ს | ეჩ | უელსი | 1:0 | ქინქლაძე |
| 19 | 06/09/95 | ს | ეჩ | გერმანია | 1:4 | ქეცბაია |
| 20 | 11/10/95 | შ | ეჩ | ბულგარეთი | 2:1 | შ. არველაძე, ქინქლაძე |
| 21 | 15/11/95 | ს | ეჩ | მოლდოვა | 2:3 | დ. ჯანაშია, კულიბაბა (ს.კ.) |
| 22 | 27/03/96 | ს | ამ | კვიპროსი | 2:0 | ქეცბაია, ჯამარაული |
| 23 | 24/04/96 | ს | ამ | რუმინეთი | 0:5 | |
| 24 | 08/05/96 | ს | ამ | საბერძნეთი | 1:2 | გოგრიჭიანი |
| 25 | 01/09/96 | ს | ამ | ნორვეგია | 0:1 | |
| 26 | 09/10/96 | ს | მჩ | იტალია | 0:1 | |
| 27 | 09/11/96 | შ | მჩ | ინგლისი | 0:2 | |
| 28 | 05/12/96 | ს | ამ | ლიბანი | 2:4 | ა. იაშვილი, კიკნაძე |
| 29 | 08/12/96 | ს | ამ | ლიბანი | 2:3 | გახოკიძე, ცქიტიშვილი |
| 30 | 30/03/97 | შ | ამ | სომხეთი | 7:0 | შ. არველაძე (3), ა. არველაძე (2), ქინქლაძე, ყაველაშვილი |
| 31 | 30/04/97 | ს | მჩ | ინგლისი | 0:2 | |
| 32 | 07/06/97 | შ | მჩ | მოლდოვა | 2:0 | შ. არველაძე, ქინქლაძე |
| 33 | 14/06/97 | ს | მჩ | პოლონეთი | 1:4 | შ. არველაძე |
| 34 | 10/09/97 | შ | მჩ | იტალია | 0:0 | |
| 35 | 24/09/97 | ს | მჩ | მოლდოვა | 1:0 | ქეცბაია |
| 36 | 11/10/97 | შ | მჩ | პოლონეთი | 3:0 | ა. არველაძე, ცხადაძე, ქეცბაია |
| 37 | 06/02/98 | ნ | სტ | ლატვია | 2:1 | ჯამარაული (2) |
| 38 | 08/02/98 | ნ | სტ | ალბანეთი | 3:0 | ქეცბაია, ყაველაშვილი, ა. იაშვილი |
| 39 | 10/02/98 | ს | სტ | მალტა | 3:1 | ყაველაშვილი (2), ჯამარაული |
| 40 | 02/05/98 | ს | ამ | ტუნისი | 1:1 | ქინქლაძე |
| 41 | 30/05/98 | შ | ამ | რუსეთი | 1:1 | ზ. ჯანაშია |
| 42 | 12/08/98 | ს | ამ | აზერბაიჯანი | 0:1 | |
| 43 | 19/08/98 | ს | ამ | უკრაინა | 0:4 | |
| 44 | 05/09/98 | შ | ეჩ | ალბანეთი | 1:0 | ა. არველაძე |
| 45 | 10/10/98 | ს | ეჩ | ლატვია | 0:1 | |
| 46 | 14/10/98 | ს | ეჩ | საბერძნეთი | 0:3 | |
| 47 | 18/11/98 | შ | ამ | ესტონეთი | 3:1 | აშვეთია (2), დ. ჯანაშია |
| 48 | 20/03/99 | შ | ამ | უკრაინა | 0:1 | |
| 49 | 27/03/99 | შ | ეჩ | სლოვენია | 1:1 | ზ. ჯანაშია |
| 50 | 28/04/99 | შ | ეჩ | ნორვეგია | 1:4 | ზ. ჯანაშია |
| 51 | 30/05/99 | ს | ეჩ | ნორვეგია | 0:1 | |
| 52 | 05/06/99 | შ | ეჩ | საბერძნეთი | 1:2 | ქეცბაია |
| 53 | 04/09/99 | ს | ეჩ | სლოვენია | 1:2 | შ. არველაძე |
| 54 | 08/09/99 | შ | ეჩ | ლატვია | 2:2 | შ. არველაძე, ყაველაშვილი |
| 55 | 09/10/99 | ს | ეჩ | ალბანეთი | 1:2 | შ. არველაძე |
| 56 | 02/02/00 | ნ | სტ | სლოვაკეთი | 0:2 | ქეცბაია, ყაველაშვილი |
| 57 | 04/02/00 | ნ | სტ | რუმინეთი | 1:1 | ქეცბაია (პენალტებით 2:4) |
| 58 | 06/02/00 | ნ | სტ | სომხეთი | 2:1 | ზ. ჯანაშია, მენთეშაშვილი |
| 59 | 28/03/00 | ს | ამ | ისრაელი | 1:1 | ქინქლაძე |
| 60 | 26/04/00 | ს | ამ | სომხეთი | 0:0 | |
| 61 | 04/06/00 | ს | ამ | აზერბაიჯანი | 0:0 | |
| 62 | 11/06/00 | ს | ამ | ესტონეთი | 0:1 | |
| 63 | 16/08/00 | ს | ამ | ირანი | 1:2 | ყაველაშვილი |
| 64 | 07/10/00 | ს | მჩ | ლიტვა | 4:0 | ქეცბაია (2), ქინქლაძე, ა. არველაძე |
| 65 | 11/10/00 | ს | მჩ | იტალია | 0:2 | |
| 66 | 14/02/01 | შ | ამ | უკრაინა | 0:0 | |
| 67 | 28/03/01 | შ | მჩ | რუმინეთი | 0:2 | |
| 68 | 24/04/01 | შ | ამ | ისრაელი | 3:2 | ქეცბაია (2), ა. არველაძე |
| 69 | 09/05/01 | შ | ამ | აზერბაიჯანი | 1:0 | იონანიძე |
| 70 | 02/06/01 | შ | მჩ | იტალია | 1:2 | გახოკიძე |
| 71 | 06/06/01 | ს | მჩ | უნგრეთი | 1:4 | კობიაშვილი |
| 72 | 15/07/01 | ს | ამ | ლუქსემბურგი | 3:0 | დემეტრაძე (2), ალექსიძე |
| 73 | 01/09/01 | შ | მჩ | უნგრეთი | 3:1 | შ. არველაძე, ჯამარაული, ა. იაშვილი |
| 74 | 05/09/01 | შ | მჩ | ლიტვა | 2:0 | ა. იაშვილი (2) |
| 75 | 06/10/01 | ს | მჩ | რუმინეთი | 1:1 | ა. იაშვილი |
| 76 | 27/03/02 | შ | ამ | ს. აფრიკა | 4:1 | დემეტრაძე (2), კობიაშვილი, ალექსიძე |
| 77 | 17/04/02 | ს | ამ | უკრაინა | 1:2 | ბურდული |
| 78 | 21/08/02 | ს | ამ | თურქეთი | 0:3 | |
| 79 | 08/09/02 | ს | ეჩ | შვეიცარია | 1:4 | შ. არველაძე |
| 80 | 12/02/03 | შ | ამ | მოლდოვა | 2:2 | ჩალაძე, აშვეთია |
| 81 | 29/03/03 | შ | ეჩ | ირლანდია | 1:2 | კობიაშვილი |
| 82 | 02/04/03 | შ | ეჩ | შვეიცარია | 0:0 | |
| 83 | 30/04/03 | შ | ეჩ | რუსეთი | 1:0 | ასათიანი |
| 84 | 11/06/03 | ს | ეჩ | ირლანდია | 0:2 | |
| 85 | 06/09/03 | შ | ეჩ | ალბანეთი | 3:0 | შ. არველაძე (2), აშვეთია |
| 86 | 10/09/03 | ს | ეჩ | ალბანეთი | 1:3 | შ. არველაძე |
| 87 | 11/10/03 | ს | ეჩ | რუსეთი | 1:3 | ა. იაშვილი |
| 88 | 18/02/04 | ნ | სტ | რუმინეთი | 0:3 | |
| 89 | 19/02/04 | ნ | სტ | კვიპროსი | 1:3 | გაბიდაური |
| 90 | 20/02/04 | ნ | სტ | სომხეთი | 0:2 | |
| 91 | 27/05/04 | შ | ამ | ისრაელი | 0:1 | |
| 92 | 18/08/04 | ს | ამ | მოლდოვა | 0:1 | |
| 93 | 04/09/04 | ს | მჩ | თურქეთი | 1:1 | ასათიანი |
| 94 | 08/09/04 | შ | მჩ | ალბანეთი | 2:0 | ა. იაშვილი, დემეტრაძე |
| 95 | 13/10/04 | ს | მჩ | უკრაინა | 0:2 | |
| 96 | 17/11/04 | შ | მჩ | დანია | 2:2 | დემეტრაძე, ასათიანი |
| 97 | 09/02/05 | შ | ამ | ლიტვა | 1:0 | აშვეთია |
| 98 | 26/03/05 | შ | მჩ | საბერძნეთი | 1:3 | ასათიანი |
| 99 | 30/03/05 | შ | მჩ | თურქეთი | 2:5 | ამისულაშვილი, ა. იაშვილი |
| 100 | 04/06/05 | ს | მჩ | ალბანეთი | 2:3 | ბურდული, კობიაშვილი |
| 101 | 19/08/05 | ს | მჩ | ყაზახეთი | 2:1 | დემეტრაძე (2) |
| 102 | 03/09/05 | შ | მჩ | უკრაინა | 1:1 | გახოკიძე |
| 103 | 07/09/05 | ს | მჩ | დანია | 1:6 | დემეტრაძე |
| 104 | 08/10/05 | შ | მჩ | ყაზახეთი | 0:0 | |
| 105 | 12/10/05 | ს | მჩ | საბერძნეთი | 0:1 | |
| 106 | 12/11/05 | ს | ამ | ბულგარეთი | 2:6 | ჯაკობია, გოგუა |
| 107 | 16/11/05 | შ | ამ | იორდანია | 3:2 | დემეტრაძე (2), შ. არველაძე |
| 108 | 27/02/06 | ნ | სტ | მოლდოვა | 1:5 | ცქიტიშვილი |
| 109 | 02/03/06 | ნ | სტ | მალტა | 2:0 | მარცვალაძე, კანკავა |
| 110 | 21/03/06 | ს | ამ | ალბანეთი | 0:0 | |
| 111 | 27/05/06 | ნ | ამ | ახ. ზელანდია | 1:3 | შ. არველაძე |
| 112 | 31/05/06 | ნ | ამ | პარაგვაი | 0:1 | |
| 113 | 16/08/06 | ს | ეჩ | ფარერები | 6:0 | შ. არველაძე (3), ა. იაშვილი, კობიაშვილი, დ. მუჯირი |
| 114 | 02/09/06 | შ | ეჩ | საფრანგეთი | 0:3 | |
| 115 | 06/09/06 | ს | ეჩ | უკრაინა | 2:3 | შ. არველაძე, დემეტრაძე |
| 116 | 07/10/06 | ს | ამ | გერმანია | 0:2 | |
| 117 | 11/10/06 | შ | ეჩ | იტალია | 1:3 | შაშიაშვილი |
| 118 | 11/11/06 | შ | ამ | ურუგვაი | 2:0 | კობიაშვილი (2) |
| 119 | 07/02/07 | შ | ამ | თურქეთი | 1:0 | სირაძე |
| 120 | 24/03/07 | ს | ეჩ | შოტლანდია | 1:2 | შ. არველაძე |
| 121 | 28/03/07 | შ | ეჩ | ფარერები | 3:1 | ა. იაშვილი (2), სირაძე |
| 122 | 02/06/07 | ს | ეჩ | ლიტვა | 0:1 | |
| 123 | 06/06/07 | ს | ეჩ | საფრანგეთი | 0:1 | |

*შენიშვნა: ს-ად (სტუმრად/შინ/ნეიტრალურზე); რ-ანგი (საერთაშორისო ტურნირი, ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი, ამხანაგური მატჩები); თ-ამაში; გ-ოლი*

## მატჩები

| | |
|---|---|
| ლევან კობიაშვილი | 70 |
| გიორგი ნემსაძე | 69 |
| გოჩა ჯამარაული | 62 |
| შოთა არველაძე | 61 |
| კახა კალაძე | 56 |
| გიორგი დემეტრაძე | 54 |
| გიორგი ქინქლაძე | 54 |
| თემურ ქეცბაია | 50 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | 48 |
| ლევან ცქიტიშვილი | 47 |
| მიხეილ ყაველაშვილი | 45 |
| ალექსანდრე იაშვილი | 36 |
| არჩილ არველაძე | 32 |
| გიორგი ლომაია | 29 |
| მურთაზ შელია | 28 |
| დავით გვარამაძე | 28 |
| კახა გოგიჩაიშვილი | 27 |
| დავით კვირკველია | 26 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | 25 |
| მალხაზ ასათიანი | 24 |
| მიხეილ აშვეთია | 24 |
| გიორგი ჩიხრაძე | 24 |
| დავით მუჯირი | 23 |
| კახა ცხადაძე | 23 |
| გელა შეყილაძე | 22 |
| ლევან სილაგაძე | 21 |
| გივი დიდავა | 21 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | 21 |

## გოლები

| | |
|---|---|
| შოთა არველაძე | 26 |
| თემურ ქეცბაია | 16 |
| გიორგი დემეტრაძე | 12 |
| ალექსანდრე იაშვილი | 12 |
| გიორგი ქინქლაძე | 8 |
| მიხეილ ყაველაშვილი | 8 |
| ლევან კობიაშვილი | 7 |
| გოჩა ჯამარაული | 6 |
| არჩილ არველაძე | 6 |
| მიხეილ აშვეთია | 5 |
| ზაზა ჯანაშია | 4 |
| მალხაზ ასათიანი | 4 |
| დავით ჯანაშია | 3 |
| გოგა გახოკიძე | 3 |

| სახელი | გვარი | ა | თარიღი | კლუბი | თ | გ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალერი | აბრამიძე | მ | 17/01/80 | ანჟი (რუსეთი) | 6 | – |
| კახა | ალადაშვილი | ნ | 11/08/83 | დინამო (უკრაინა) | 7 | – |
| რატი | ალექსიძე | თ | 08/09/78 | თამაში დაასრულა | 19 | 2 |
| ალექსანდრე | ამისულაშვილი | მ | 20/08/82 | ნალჩიკი (რუსეთი) | 9 | 1 |
| არჩილ | არველაძე | თ | 22/02/73 | თამაში დაასრულა | 32 | 6 |
| რევაზ | არველაძე | ნ | 15/09/69 | თამაში დაასრულა | 11 | 1 |
| შოთა | არველაძე | თ | 22/02/73 | ალკმაარი (ჰოლანდია) | 61 | 26 |
| მალხაზ | არზიანი | მ | 15/08/64 | თამაში დაასრულა | 1 | – |
| მალხაზ | ასათიანი | ნ | 04/08/81 | ლოკომოტივი (რუსეთი) | 24 | 4 |
| დავით | ასლანაძე | მკ | 16/11/76 | თამაში დაასრულა | 1 | – |
| თორნიკე | აფციაური | ნ | 28/11/79 | ოლიმპი | 2 | – |
| შალვა | აფხაზავა | თ | 04/08/80 | | 1 | – |
| მიხეილ | აშვეთია | თ | 10/11/77 | უგუნდო | 24 | 5 |
| ლადო | ახალაია | თ | 26/06/82 | უგუნდო | 1 | – |
| ბადრი | ახვლედიანი | მ | 19/10/70 | თამაში დაასრულა | 2 | – |
| გიორგი | ბალაშვილი | მ | 07/08/73 | დილა | 3 | – |
| ალექსი | ბენაშვილი | ნ | 20/03/89 | ზესტაფონი | 2 | – |
| ბესიკ | ბერაძე | მ | 20/02/68 | თამაში დაასრულა | 8 | – |
| მელორ | ბიგვავა | თ | 17/01/63 | თამაში დაასრულა | 1 | – |
| მიხეილ | ბობოხიძე | თ | 23/11/81 | უგუნდო | 1 | – |
| მირზა | ბჟალავა | ნ | 05/02/88 | ლუშტენაუ (ავსტრია) | 1 | – |
| ვლადიმერ | ბურდული | ნ | 26/02/80 | ზარია (უკრაინა) | 19 | 2 |
| გიორგი | გაბიდაური | ნ | 06/12/79 | შახტიორი (ყაზახეთი) | 3 | 1 |
| იური | გაბისკირია | ნ | 01/09/68 | თამაში დაასრულა | 1 | – |
| გიორგი | განუგრავა | ნ | 21/02/88 | უგუნდო | 8 | – |
| გიორგი | გახოკიძე | ნ | 09/11/77 | თამაში დაასრულა | 19 | 3 |
| ირაკლი | გემაზაშვილი | მ | 06/07/77 | ჰალეშერი (გერმანია) | 1 | – |
| დავით | გვარამაძე | მკ | 08/11/75 | ლოკომოტივი | 28 | – |
| ვასილ | გიგიაძე | თ | 03/06/77 | კრივბასი (უკრაინა) | 5 | – |
| კახა | გოგიჩაიშვილი | ნ | 31/10/68 | თამაში დაასრულა | 27 | 1 |
| ალექსანდრე | გოგობერიშვილი | ნ | 26/02/76 | ბაკუ (აზერბაიჯანი) | 5 | – |
| გოჩა | გოგრიჭიანი | თ | 12/08/64 | თამაში დაასრულა | 8 | 2 |
| გოგიტა | გოგუა | ნ | 04/10/83 | სატურნი (რუსეთი) | 17 | 1 |
| ბექა | გოცირიძე | თ | 16/08/88 | ზესტაფონი | 2 | – |
| რევაზ | გოცირიძე | თ | 17/01/81 | ოლიმპი | 2 | – |
| შოთა | გრიგალაშვილი | ნ | 30/06/86 | დინამო | 1 | – |
| იოსებ | გრიშიკაშვილი | მკ | 21/12/72 | დინამო | 10 | – |
| გია | გურული | თ | 20/05/64 | თამაში დაასრულა | 3 | – |
| ვალტერ | გუჩუა | მ | 06/07/75 | მგლები | 5 | – |
| გოჩა | გუჯაბიძე | მ | 07/07/71 | თამაში დაასრულა | 1 | – |
| გიორგი | დავითნიძე | მ | 18/07/78 | ამერი | 1 | – |
| გიორგი | დარასელია | ნ | 17/09/68 | თამაში დაასრულა | 8 | 1 |
| ვიტალი | დარასელია | თ | 27/09/78 | სიონი | 10 | – |
| აკაკი | დევაძე | მკ | 28/11/71 | მგლები | 20 | – |
| გიორგი | დემეტრაძე | თ | 26/09/76 | მ. დონეცკი (უკრაინა) | 54 | 12 |
| გივი | დიდავა | მ | 26/03/76 | ამერი | 21 | – |
| ზაალ | ელიავა | მ | 02/01/85 | სკონტო (ლატვია) | 4 | – |
| ირაკლი | ვაშაკიძე | მ | 13/03/76 | უგუნდო | 1 | – |
| ირაკლი | ზოიძე | მკ | 21/03/69 | თამაში დაასრულა | 19 | – |
| ვაჟა | თარხნიშვილი | მ | 26/08/71 | შერიფი (მოლდოვა) | 2 | – |
| რევაზ | თევდორაძე | მკ | 03/09/88 | დილა | 1 | – |
| სევასტი | თოდუა | მ | 13/05/76 | ზესტაფონი | 6 | – |
| ალექსანდრე | იაშვილი | თ | 23/10/77 | კარლსრუე (გერმანია) | 36 | 12 |
| სანდრო | იაშვილი | თ | 03/01/85 | დინამო | 3 | – |
| დავით | იმედაშვილი | მ | 15/12/84 | დინამო (უკრაინა) | 1 | – |
| გელა | ინალიშვილი | ნ | 03/10/66 | თამაში დაასრულა | 10 | – |
| ზურაბ | იონანიძე | თ | 02/12/71 | ზესტაფონი | 4 | 1 |
| თემურ | კაბისაშვილი | მ | 13/09/67 | თამაში დაასრულა | 1 | – |
| ალექსანდრე | კაიდარაშვილი | თ | 02/11/78 | ბორჯომი | 1 | – |
| კახა | კალაძე | მ | 22/02/78 | მილანი (იტალია) | 56 | – |
| ილია | კანდელაკი | მ | 16/12/81 | ჩერნომორეცი (უკრაინა) | 10 | – |
| ჯაბა | კანკავა | ნ | 18/03/86 | დნეპრი (უკრაინა) | 17 | 1 |
| მერაბ | კაციტაძე | მ | 25/02/63 | თამაში დაასრულა | 1 | – |
| კახა | კაჭარავა | თ | 19/09/66 | თამაში დაასრულა | 2 | 1 |
| გივი | კვარაცხელია | მ | 11/05/79 | კაუნასი (ლიტვა) | 6 | – |
| კახა | კვეტენაძე | ნ | 03/06/70 | ტორპედო | 1 | – |
| დავით | კვირკველია | ნ | 27/06/80 | მ. ზაპოროჟიე (უკრაინა) | 26 | – |
| გიორგი | კიკნაძე | ნ | 26/04/76 | თამაში დაასრულა | 10 | 1 |
| გიორგი | კილასონია | ნ | 09/09/68 | თამაში დაასრულა | 3 | – |
| სანდრო | კობახიძე | ნ | 11/02/87 | დინამო | 1 | – |
| ლევან | კობიაშვილი | ნ | 10/07/77 | შალკე (გერმანია) | 70 | 7 |
| ლევან | კორღალიძე | ნ | 21/02/80 | სიონი | 3 | – |
| დიმიტრი | კუდინოვი | მ | 08/02/63 | თამაში დაასრულა | 18 | 1 |
| ნუგზარ | ლობჟანიძე | მ | 07/09/71 | თამაში დაასრულა | 13 | – |
| გიორგი | ლომაია | მკ | 08/08/79 | კარლ ცაისი (გერმანია) | 29 | – |
| ზურაბ | მამალაძე | მკ | 10/02/82 | სიონი | 2 | – |
| ოთარ | მარცვალაძე | თ | 14/07/84 | დინამო (უკრაინა) | 7 | 1 |
| ლევან | მარრაძე | ნ | 05/12/77 | ქსანთი (საბერძნეთი) | 3 | – |
| მამუკა | მაჭავარიანი | მ | 27/11/70 | თამაში დაასრულა | 3 | – |
| კახა | მახარაძე | ნ | 20/10/87 | ჩიხურა | 2 | – |
| მიხეილ | მახვილაძე | მ | 22/07/78 | ოლიმპი | 1 | – |
| ლევან | მელქაძე | თ | 12/12/79 | შახტიორი (ყაზახეთი) | 4 | – |
| ზურაბ | მენთეშაშვილი | ნ | 30/01/80 | ვენტსპილსი (ლატვია) | 25 | 1 |
| გიორგი | მეგრელაძე | თ | 21/07/78 | ბაკუ (აზერბაიჯანი) | 1 | – |
| ლევან | მიქაძე | მ | 13/09/73 | უგუნდო | 1 | – |
| ირაკლი | მოდებაძე | თ | 04/10/84 | მ. ზაპოროჟიე (უკრაინა) | 1 | – |
| ლაშა | მონასელიძე | ნ | 02/01/77 | უგუნდო | 1 | – |
| კახა | მჭავანაძე | მ | 02/10/78 | ანჟი (რუსეთი) | 14 | – |
| ამირან | მუჯირი | ნ | 20/02/74 | ბაკუ (აზერბაიჯანი) | 1 | – |
| დავით | მუჯირი | ნ | 02/01/78 | კრილია (რუსეთი) | 23 | 1 |
| დავით | მჭედლიშვილი | ნ | 05/04/88 | ამერი | 2 | – |
| გიორგი | ნემსაძე | ნ | 10/05/72 | თამაში დაასრულა | 69 | – |
| გიორგი | ნიკურაძე | მკ | 01/10/79 | ტპ-47 (ფინეთი) | 1 | – |
| ლაშა | ნოზაძე | ნ | 18/03/80 | დინამო | 1 | – |
| დავით | ოდიკაძე | ნ | 14/04/81 | დინამო | 4 | – |
| როინ | ონიანი | მ | 14/06/75 | ზესტაფონი | 1 | – |
| გიორგი | რევაზიშვილი | ნ | 31/03/77 | თამაში დაასრულა | 1 | – |
| ზაზა | რევიშვილი | მ | 23/09/68 | თამაში დაასრულა | 11 | – |
| ნუკრი | რევიშვილი | მკ | 02/03/87 | რუბინი (რუსეთი) | 7 | – |
| ალექსანდრე | რეხვიაშვილი | ნ | 06/08/74 | იურმალა (ლატვია) | 21 | – |
| ლაშა | სალუქვაძე | მ | 21/12/81 | რუბინი (რუსეთი) | 15 | – |
| არჩილ | სახვაძე | მ | 10/03/78 | უგუნდო | 1 | – |
| ედიკ | საჯაია | მ | 16/02/81 | ზესტაფონი | 9 | – |
| გიორგი | სეთურიძე | მ | 01/04/85 | ოლიმპი | 1 | – |
| ვასილ | სეფაშვილი | თ | 17/02/69 | თამაში დაასრულა | 3 | – |
| კახა | სიდამონიძე | მ | 17/04/71 | თამაში დაასრულა | 5 | – |
| ლევან | სილაგაძე | მ | 04/08/76 | ოლიმპი | 21 | – |
| დავით | სირაძე | ნ | 20/10/81 | პადერბორნი (გერმანია) | 6 | 2 |
| თენგიზ | სიჭინავა | ნ | 15/05/72 | თამაში დაასრულა | 10 | – |
| ზვიად | სტურუა | მკ | 25/04/78 | ჩიხურა | 2 | – |
| ნიკოლოზ | ტოგონიძე | მკ | 26/04/71 | თამაში დაასრულა | 11 | – |
| თემურ | ტელეში | თ | 24/02/72 | თამაში დაასრულა | 3 | – |
| გოჩა | ტყებუჩავა | მ | 24/11/63 | თამაში დაასრულა | 1 | – |
| გია | ფირცხალავა | მ | 03/01/65 | თამაში დაასრულა | 1 | – |
| გიორგი | ფოფხაძე | მ | 25/10/86 | ვიბორგი (დანია) | 2 | – |
| ზურაბ | ფოფხაძე | მ | 02/06/72 | თამაში დაასრულა | 4 | – |
| მიხეილ | ფოცხვერია | თ | 12/08/75 | თამაში დაასრულა | 4 | – |
| რევაზ | ქემოკლიძე | მ | 13/03/79 | ჩიხურა | 20 | – |
| თემურ | ქეცბაია | ნ | 18/03/68 | თამაში დაასრულა | 50 | 16 |
| გიორგი | ქინქლაძე | ნ | 06/07/76 | უგუნდო | 54 | 8 |
| მათე | ღვინიანიძე | მ | 10/12/86 | მიუნხენ 1860 (გერმანია) | 4 | – |
| გიორგი | ღუდუშაური | ნ | 18/02/73 | თამაში დაასრულა | 8 | – |
| მიხეილ | ყაველაშვილი | თ | 22/07/71 | თამაში დაასრულა | 45 | 8 |
| დავით | ყიზილაშვილი | თ | 12/12/70 | თამაში დაასრულა | 8 | 2 |
| გიორგი | ყიფიანი | ნ | 12/08/78 | უგუნდო | 2 | – |
| გიორგი | შაშიაშვილი | მ | 01/09/79 | ჩერნომორეცი (უკრაინა) | 18 | 1 |
| მურთაზ | შელია | მ | 25/03/69 | თამაში დაასრულა | 28 | – |
| გელა | შეყილაძე | მ | 14/09/70 | თამაში დაასრულა | 22 | – |
| დავით | ჩალაძე | თ | 22/01/76 | უგუნდო | 4 | 1 |
| გოჩა | ჩიქოვანი | მ | 12/10/62 | თამაში დაასრულა | 1 | – |
| გიორგი | ჩიხრაძე | მ | 01/10/67 | თამაში დაასრულა | 24 | – |
| გია | ჩხაიძე | მ | 23/02/70 | თამაში დაასრულა | 3 | – |
| კახა | ჩხეტიანი | ნ | 24/02/78 | ზესტაფონი | 1 | – |
| დავით | ცომაია | ნ | 04/09/67 | თამაში დაასრულა | 4 | – |
| ლევან | ცქიტიშვილი | მ | 10/10/76 | პანიონიოსი (საბერძნეთი) | 47 | 2 |
| კახა | ცხადაძე | მ | 07/09/68 | თამაში დაასრულა | 23 | 1 |
| მერაბ | ძოძუაშვილი | თ | 04/11/80 | უგუნდო | 2 | – |
| მამუკა | წერეთელი | მ | 17/01/79 | უგუნდო | 12 | – |
| რატი | წინამძღვრიშვილი | თ | 22/03/88 | ამერი | 3 | – |
| გიორგი | ჭანკოტაძე | მ | 04/10/77 | თამაში დაასრულა | 3 | – |
| გრიგოლ | ჭანტურია | მკ | 25/09/73 | ზესტაფონი | 6 | – |
| სოსო | ჭედია | ნ | 09/10/65 | თამაში დაასრულა | 1 | – |
| გიორგი | ჭელიძე | ნ | 29/11/84 | ზესტაფონი | 2 | – |
| დავით | ჭიჭვეიშვილი | ნ | 23/01/75 | ოლიმპი | 3 | – |
| ვახტანგ | ხვადაგიანი | მ | 04/04/72 | ამერი | 1 | – |
| ზურაბ | ხიზანიშვილი | მ | 06/10/81 | ბლექბერნი (ინგლისი) | 48 | – |
| ოთარ | ხიზანეიშვილი | მ | 26/06/81 | ფრაიბურგი (გერმანია) | 17 | – |
| დავით | ხმელიძე | მკ | 28/04/79 | სპარტაკი (ჩელიაბინსკი, რუსეთი) | 1 | – |
| შალვა | ხუჯაძე | მ | 05/10/75 | უგუნდო | 2 | – |
| ლაშა | ჯაკობია | თ | 20/08/80 | არსენალი (უკრაინა) | 7 | 1 |
| გოჩა | ჯამარაული | ნ | 23/07/71 | თამაში დაასრულა | 62 | 6 |
| დავით | ჯანაშია | თ | 07/08/72 | თამაში დაასრულა | 10 | 3 |
| ზაზა | ჯანაშია | თ | 10/02/76 | თამაში დაასრულა | 9 | 4 |
| დავით | ჯანელიძე | მკ | 09/02/73 | თამაში დაასრულა | 2 | – |
| ზვიად | ჯელაძე | მ | 16/12/73 | ვოსტოკი (ყაზახეთი) | 3 | – |
| მამუკა | ჯიქია | ნ | 11/12/75 | ლკს (ლოძი, პოლონეთი) | 3 | – |
| გია | ჯიშკარიანი | ნ | 30/11/67 | თამაში დაასრულა | 8 | 1 |
| მიხეილ | ჯიშკარიანი | თ | 01/11/69 | თამაში დაასრულა | 2 | – |

ეროვნული ბიბლიოთეკა





# კაკა სულ სხვაა
## პელემ ფსონი დადო

**რამდენადაც** იტალიური წყაროები იტყობინებიან, „მილანის“ ბრაზილიელმა ვარსკვლავთ-ვარსკვლავმა კაკამ მადრიდის „რეალის“ შეყებს უარი შეუთვალა, არც თქვენი გაორმაგებული ხელფასი მინდა და არც „სანტიაგო ბერნაბეუზე“ თამაში — ჩემი „სან სირო“ ჩემთანო.

ამასობაში, მისი ფეხბურთით აღფრთოვანებულმა პელემ თანამემამულეს მსოფლიოში საუკეთესო უწოდა.

„კრიშტიანუ რონალდუს ინგლისში ბადალი უდავოდ არ ჰყავს და ეს გასულ სეზონში ყველამ დაინახა, მაგრამ მსოფლიოში საუკეთესობამდე ბევრი უკლია — განაცხადა „ფეხბურთის მეფემ“ ანგოლაში, საქველმოქმედო ღონისძიებაზე ყოფნისას და დასძინა — კაკა სულ სხვაა, ის კრიშტიანუ რონალდუს სჯობია. მისი ოსტატობის მქონე ადამიანი მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესოთა შორისაც კი შეიძლება მოხვდეს“.

სხვა სიტყვებით, პელემ თქვა, წლეულს, წლის ბოლოს, „ფრანს ფუტბოლი“ „ოქროს ბურთის“ გამოკითხვას რომ მოაწყობს, ჟურნალისტებო, პორტუგალიელს ჩემი თანამემამულე გერჩივნოთო.

ახლა კი რაც შეეხება „რეალს“. მოგეხსენებათ, მადრიდელთა პრეზიდენტი რამონ კალდერონი უკვე კარგა ხანია, დაჟინებით იმეორებს, რომ კაკას ესპანეთის ლა ლიგაში გადაყვანა სურს. ბუნებრივია, ამ მიმართულებით მადრიდელები კონკრეტულ ნაბიჯებსაც დგამენ. კერძოდ, ამ დღეებში, როგორც „რეალმა“, ასევე „მილანმა“, დაადასტურა, რომ „სამეფო კლუბის“ წარმომადგენლები კაკას აგენტს, მამამისს შეხვდნენ და სეზონში 11,8 მილიონი ევრო შესთავაზეს. როგორც ამბობენ, ეს თანხა კაკას მილანურ ხელფასზე ორჯერ მეტია, თუმცა იმასაც დასძენენ, რომ ფეხბურთელი და „შავ-წითლები“, სავარაუდოდ, პირობებს გადახედავენ.

საინტერესოა, რომ „მილანი“ კაკას შესანარჩუნებლად ხრიკს მიმართავს და ვარსკვლავის უმცროს ძმას დიგაოსაც ყიდულობს. ეს დიგაოც იტალიაში, ოღონდ სერია B-ს გუნდ „რიმინიშია“. საეჭვოა, ის განსაკუთრებული ნიჭით იყოს დაჯილდოებული, მაგრამ მილანელებს კაკას შენარჩუნება მასში გადაყრილ თანხად, ალბათ, უღირთ.

კიდევ, არ არის გამორიცხული „სან სიროზე“ კვლავ ვიხილოთ კაკას კარგი მეგობარი ანდრეი შევჩენკო, რომელიც ლონდონის „ჩელსის“ მთლად ვერ შეეწყო.

შეგახსენებთ, რომ კაკამ ჩემპიონთა ლიგის გასულ გათამაშებაში 10 გოლი გაიტანა და ამ შეჯიბრების საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

**ბაჩუნა ბედია**

# ტოტი — ისევ იტალიელი




**მაშ ასე,** ფრანჩესკო ტოტიმ ევროპის „ოქროს ბუცი“ მოიგო — სერია A-ში გატანილი 26 გოლით „ბებერი კონტინენტის“ საუკეთესო ბომბარდირი სწორედ ისაა.

რატომ გადაწყდა ეს ამბავი მხოლოდ ახლა? იმიტომ, რომ ტოტის კონკურენტს, „რეალის“ ჰოლანდიელ თავდამსხმელ რუუდ ვან ნისტელროის კვირას ლა ლიგის ბოლო შეხვედრაში „მალიორკასთვის“ შეძლო გოლის გატანა — ვან ნისტელროის 25 გოლი ჰქონდა გატანილი, მაგრამ, ვაგლახ, ტრავმის გამო ის შესვენებისას შეცვალეს.

ამრიგად, ზედიზედ მეორე წელიწადია, „ოქროს ბუცს“ იგებს იმ ქვეყნის თავდამსხმელი, რომელსაც მხოლოდ დაცვაზე ზრუნვას საყვედურობენ — 2006 წელს 31 გოლით ჯილდო „ფიორენტინას“ ფორვარდ ლუკა ტონის ერგო.

საინტერესოა ისიც, რომ ტონიმდე „ოქროს ბუცი“ იტალიელს არასდროს მოუგია.

აღსანიშნავია, რომ ჯილდოს მისაღებად საკუთარ ჩემპიონატში ბევრი გოლის გატანა საკმარისი არ არის. თვალსაჩინოებისთვის ასე ვთქვათ: საქართველოსა და იტალიის ჩემპიონატებში გატანილი გოლები ერთნაირად არ ფასდება.

ასე რომ ყოფილიყო, ჰოლანდიაში გატანილი 34 გოლით ტოტის ბრაზილიელი ალფონსო ალვეში გადაასწრებდა.

საბოლოოდ, რომაელმა 52 ქულა დააგროვა, ვან ნისტელროიმ კი 50.

„ერთი წლის წინ ბევრი ამბობდა, რომ ჩემი კარიერა დასრულდა და იმ ტრავმის მერე მუნდიალზე მხოლოდ სახელის გამო წამიყვანეს. როგორც ჩანს, ამ მითქმა-მოთქმამ იღბალი მომიტანა. მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი, მოვიგე იტალიის თასი, სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირი გავხდი და მოვიპოვე „ოქროს ბუცი“. ახლა კიდევ ერთი მიზეზი მაქვს, 17 ივნისი კალენდარში განსაკუთრებულად ავღნიშნო. ექვსი წლის წინ ამავე დღეს სკუდეტო მოვიგეთ. მიხარია, რომ ეს ჯილდო მხვდა წილად, მაგრამ, რა თქმა უნდა, ვწუხვარ რუუდ ვან ნისტელროის გამო, ვინც ასევე ძალიან ახლოს იყო „ოქროს ბუცთან“. იგი ნამდვილი ჩემპიონია და სასიამოვნო იყო მასთან ბოლო მომენტამდე გაჯიბრება. ამ წარმატებას ვუძღვნი ჩემს შვილებს, მთლიანად ოჯახს და ყველას, ვისაც ყოველთვის სჯეროდა ჩემი. ასევე მინდა, მადლობა გადავუხადო „რომას“ პრეზიდენტ ფრანკო სენსის. იგი ყოველთვის გვერდში მედგა და, იმედია, ამაგს მომავალში უფრო მეტი წარმატებით დავუფასებ“ — განაცხადა ტოტიმ.

**ბაჩუნა ბედია**

# ჩემპიონთა ლიგა მინდა!



**„ინტერის“** ვარსკვლავმა ლუიშ ფიგუმ განაცხადა, რომ ფეხბურთიდან წასვლამდე ჩემპიონთა ლიგა უნდა მოიგოს.

პორტუგალიელი ვეტერანი ცოტა ხნის წინ არაბულ „ალ იტიჰადში“ აპირებდა გადასვლას, მაგრამ გარიგება არ შედგა და მანაც კიდევ ერთი წლით გადაწყვიტა მილანურ „სან სიროზე“ დარჩენა...

შესაბამისად, ფიგუს ჩემპიონთა ლიგის 2007-08 წლების გათამაშებაში გამარჯვება აქვს მიზნად დასახული.

„ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგა მინდა მოვიგო — უთხრა ფიგუმ პორტუგალიურ გაზეთ „ა ბოლას“ — მოახლოებული სეზონი ჩემს კარიერაში ბოლო იქნება და იმედი მაქვს, ის სწორედ ისე დამთავრდება, როგორც მე ვოცნებობ“.

შეგახსენებთ, რომ ფიგუ „ინტერში“ მადრიდის „რეალიდან“ 2005 წელს გადავიდა. „ა ბოლას“ შეკითხვები „რეალის“ პერიოდსაც შეეხო...

„ბოლო ხანს „რეალში“ თავს კარგად არ ვგრძნობდი — მიუგო პორტუგალიელმა ვარსკვლავმა — მდგომარეობა მაშინ აირია, როდესაც კლუბის პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა და მისმა მსგავსმა ხალხმა ჩათვალა, რომ ფეხბურთის ექსპერტები იყვნენ. მაშინ გუნდიდან წასვლა გადავწყვიტე. რასაკვირველია, სხვა ესპანურ კლუბებშიც შემეძლო გადასვლა, მაგრამ „ინტერის“ წინადადება ყველაზე მომხიბვლელი გამოდგა და მეც გულმა „სან სიროსკენ“ გამომიწია“.

**ბაჩუნა ბედია**

# ვის ჰქონდა მძიმე ბავშვობა?
## სიმეონეს რეკომენდაცია ტევესს



**„ინტერის“** ყოფილმა ფეხბურთელმა და არგენტინული „ესტუდიანტესის“ ამჟამინდელმა მწვრთნელმა დიეგო პაბლო სიმეონემ „ინტერნაციონალეს“ თავკაცებს კარლოს ტევესის შეძენა ურჩია.

„კარლოსი ფენომენია. მას უმძიმესი ბავშვობა ჰქონდა, რომლის შემდეგაც ფოლადივით მტკიცე ხასიათი ჩამოუყალიბდა. გარდა იმისა, რომ შესანიშნავ ტექნიკას ფლობს, გუნდური სულისკვეთების მქონე ფეხბურთელია, რომელიც მოედანზე ყოველთვის მოგების წყურვილით გადის“ — განაცხადა სიმეონემ.

ეს რეკომენდაციული გამოსვლა „ინტერის“ პრეზიდენტის, მასიმო მორატის ამასწინანდელმა სიტყვებმა გამოიწვია. სენიორ მორატიმ თქვა, რომ ტევესის შეძენითაა დაინტერესებული.

და რას ამბობს, თავად არგენტინელი ფორვარდი?

„მოხარული ვიქნები, თუ „ინტერში“ თამაშის შესაძლებლობა მომეცემა, იქ ხომ უამრავი არგენტინელია“ — განაცხადა „კარლიტომ“.

მართლაც მორატის გუნდს გაუჩოთა ნაკლებობა არ აწუხებს — „სან სიროზე“ ხავიერ ძანეტი, ნიკოლას ბურდისო, ვალტერ სამუელი, ესტებან კამბიასო, მარიანო გონსალესი, სანტიაგო სოლარი, ერნან კრესპო და ხულიო რიკარდო კრუზი თამაშობენ.

**ლადო ხომერიკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა




# მკვდრეთით აღმდგარი ჩემპიონი

მადრიდის „რეალმა“ საამსეზონოდ თავისი ბოლო ფინალიც ღირსეულად ჩაატარა და ლა ლიგის ოქროს მედლები დამსახურებულად დაისაკუთრა. „სამეფო გუნდმა“ ესპანეთის ჩემპიონობა ოთხწლიანი შესვენების შემდეგ მოიგო.

მადრიდი ახლა უსაზღვრო სიხარულშია ჩაძირული, ტიტულის ყოფილ პრეტენდენტთა ქალაქებს, ბარსელონას და სევილიას კი სევდის ღრუბელი აწევს. თუმცა, ფაბიო კაპელოს ბიჭებს ჯილდოს ვერავინ დააყვედრის. „რეალმა“ სეზონი უსუსურად დაიწყო, მაგრამ ჩემპიონატის მეორე წრეში, ფაქტობრივად, მკვდრეთით აღდგა და გამარჯვებას დანატრებული ქომაგობა შესანიშნავი მატჩებით დააჯილდოვა.

600 ათასმა კაცმა იზეიმა ესპანეთის სატახტოში, სიბელესის შადრევანთან, კასტილიური გრანდის ოცდამეათე ჩემპიონობა. მადრიდელი ფეხბურთელები „ბერნაბეუზე“, „მალიორკასთან“ მოგებული მატჩის შემდეგ სიბელესთან ღია ავტობუსით მიიყვანეს და ხალხის ოვაციებსაც საზღვარი არ ჰქონდა. „რეალის“ კოჰორტას მარტო ერთი კაცი აკლდა — უცნაურზე უცნაურმა ანტონიო კასანომ მადრიდულ ზეიმში მონაწილეობა არ ისურვა...

გულშემატკივართა აღფრთოვანებული ღრიანცელის თანხლებით გუნდის კაპიტანმა რაულ გონსალეს ბლანკომ შადრევანთან ანტიკური ქალღმერთის ქანდაკებაზე „რეალის“ ბაირაღი აღმართა — ეს „სამეფო თეთრებისა“ და მათი ინჩასობისთვის ჭეშმარიტად დიდებული წუთი იყო.

თუმც ფიესტას ინციდენტების გარეშე არ ჩაუვლია. უკვე გამთენიისას, სიბელესთან „რეალის“ გულშემატკივართა სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის გრანდიოზული ჩხუბი ატყდა და 108 კაცმა საავადმყოფოებში ამოჰყო თავი. საქმეში პოლიციაც ჩაერთო და მთვრალ ფანებს საჩემპიონო სიხარულით აღტკინება ხელკეტების ბრაგაბრუგით ჩაუქრო.

ესპანური მედიის ცნობით, ის 108 ფანი სერიოზულად არ დაშავებულა...

**ლადო ხომერიკი**

**რუუდ ვან ნისტელროი:** „ეს ჩემს ცხოვრებაში საუკეთესო წელი იყო. ხალხმა შესანიშნავად გამიგო. უკვე ჩემპიონები ვართ, ეს დაუჯერებელია! ძალიან ძნელი იყო ლა ლიგის მოგება, მაგრამ საბოლოოდ ეს შევძელით. ახლა ყველანი ბედნიერები ვართ. ვფიქრობ, ეს ჩემს ცხოვრებაში საუკეთესო წელი იყო — პრიმერადივიზიონის ჩემპიონი და მთავარმეგოლე გავხდი“.

**სერხიო რამოსი:** „ამდენი არ უნდა გვეწვალა. უკიდურესად დაძაბული სეზონი იყო, რაც ბოლო თამაშზეც აისახა. ინჩასებს ნერვები დააწყდათ... როცა მეორე ტაიმში მოედანზე გამოვდიოდით, ყველამ მშვენივრად ვიცოდით, წინ რაც გველოდა და რა უნდა გაგვეკეთებინა. ამ გამარჯვებას ჩემს ოჯახს და „რეალის“ ქომაგებს ვუძღვნი“.

**მაჰამადუ დიარა:** „ბედნიერი ვარ, რადგანაც უამრავი ხალხი გავახარეთ ჩვენი გამარჯვებით. „რეალი“ უკვე ჩემპიონია და მეც და ჩემი თანაგუნდელებიც მხოლოდ იმაზე ვფიქრობთ, საჩემპიონო ფიესტა როგორ აღვნიშნოთ. მომწონს ის სიმღერა, რომელიც „რეალის“ ბრაზილიელებმა ჩემზე შეთხზეს და ხშირად მიმღერიან — ბევრს ვიცინით ხოლმე... რთული კვირა იყო, რადგანაც აფრიკაში ხალხი ფიქრობდა, რომ არც მე და არც ფრედი კანუტს „რეალისა“ და „სევილიას“ გამო მალის ნაკრებში თამაში აღარ გვინდოდა. კმაყოფილი ვარ, მალიმაც 6:0 მოიგო და ჩვენც ლა ლიგის გამარჯვებულები გავხდით. ამის აღსანიშნავად ვიმღერებ, ვიცეკვებ, ვიხტუნავებ და სხვა ათას სიგიჟეს გავაკეთებ. დაძინებაზე ფიქრიც არ შემიძლია“.

**პრედრაგ მიატოვიჩი:** „რეალისთვის“ ოთხწლიანი მშრალი პერიოდი დიდი დარტყმა იყო... რაც ამ სეზონში მოხდა, დიდ ემოციებს იწვევს. უყურებ ფეხბურთელთა სიხარულს და შენც ბედნიერი ხარ. მუშაობა არ უნდა შევწყვიტოთ, რათა მომავალ სეზონშიც ბრძოლისუნარიანი გუნდი გვყავდეს. თუმცა ახლა ფიესტისა და თავდავიწყების დროა, რამდენიმე დღის განმავლობაში დამსახურებულ გამარჯვებას ვიზეიმებთ. ფაბიო კაპელოს გუნდში დარჩენის ამბავს კი ფიესტის შემდეგ გადავწყვეტთ“.

**რობინიო:** „დავიტანჯეთ, მაგრამ მიზანს მაინც მივაღწიეთ! ბევრი პრობლემა შეგვხვდა. ეს უზარმაზარი სიხარულია ჩვენთვის, ხოლო მე „რეალის“ მაისურით პირველი ტიტული მოვიგე! იმედია, ჯილდოები მომავალშიც მექნება. „მალიორკასთან“ ბევრი ვიშრომეთ და, რაც მთავარია, მოგებაზე ხელი არ ჩაგვიქნევია“.

**ხოსე ანტონიო რეიესი:** „მადრიდის „რეალი“ ჩემპიონი გავხადე და ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგანაც ზუსტად ამისთვის მოვედი „სანტიაგო ბერნაბეუზე“. საკუთარი ძალების რწმენა არ დაგვიკარგავს, რაც ჩემპიონატის ყველა ტურის განმავლობაში დავამტკიცეთ. ახლა ინჩასებთან ერთად ვიზეიმებთ, უბედნიერესი საღამო მქონდა“.

**ფაბიო კანავარო:** „ესპანური ლა ლიგა მქონდა დარჩენილი და ესეც მოვიგე. პრიმერაში ბრწყინვალე გუნდთან ერთად გავიმარჯვე, რომელიც ამ ფიესტას იმსახურებდა და ამის გამო თავს გადასარევად ვგრძნობ. დიდებული სეზონი გამომივიდა. წლეულს აღარაფერი დამრჩა მოსაგები...“







AFP

## ფაბიო კაპელო: კალდერონისგან მხარდაჭერა არ მიგრძვნია

— რას ფიქრობდით მაშინ, როდესაც მოედნის ცენტრში მარტო იდექით, ფეხბურთელები კი გამარჯვებას ზეიმობდნენ?

— მიყვარს, როდესაც ჩემს ფიქრებთან მარტო ვრჩები. ჩვენ თითქმის წაგებული ლა ლიგა მოვიგეთ. პრიმერადივიზიონში გამარჯვებისთვის ვილაც-ვილაცების დახმარებით არ მიმიღწევია, როგორც ამას ზოგიერთი გაზეთი წერს ხოლმე. იტალიაშიც და ესპანეთშიც თამაშს მოედანზე იგებ. მინდა, ეს ყველამ გაიგოს და დაიმახსოვროს.

— „მალიორკასთან" მატჩის დროს ბევრი ინერვიულეთ?

— ძალიან ძნელი თამაში იყო, თუმცა ყველაფერი კარგად დამთავრდა და ახლა მენტალურად ძალიან ძლიერები ვართ.

— კარიერას ისევ „რეალში" გააგრძელებთ?

— ეს ჩემზე კი არა, კლუბის პრეზიდენტზეა დამოკიდებული. მთავარი სიტყვა რამონ კალდერონს ეკუთვნის. ადრე ვუთხარი, რომ მუშაობის გაგრძელება მინდოდა. თუ პრეზიდენტს კაპელოსთან თანამშრომლობა აღარ სურს, უმჯობესია, ეს, რაც შეიძლება, მალე მითხრას.

— „რეალმა" სეზონის ბოლო შეხვედრაც ტრილერს დაამსგავსა — „როგორც წესი", „სამეფო გუნდი" პირველ ტაიმს აგებს, საბოლოოდ კი იმარჯვებს. „მალიორკასთან" ბედის შემოტრიალება რას, ან ვის უნდა მივაწეროთ?

— დარწმუნებული ვარ, ყველაფრის მიუხედავად, კრიტიკა მაინც არ ამცდება. „პროფესორებს" რა გამოლევს, სხედან თავისთვის ტელევიზორთან, მატჩს მშვიდად უყურებენ და მერე ბრძნულ კომენტარებს გამოთქვამენ. რაც უნდა მოხდეს, მათი აზრით, საქმის წამხდენი კაპელოა, ხოლო როცა გუნდი იგებს, დელიკატურად ჩუმდებიან ხოლმე. მწყინს, როცა ისეთი ხალხი გაკრიტიკებს, ვინც ფეხბურთის გაგებაშიც არაა.

— ამბობენ, რომ „რეალის" ძირითად შემადგენლობას სხვათა რჩევებით ადგენდით...

— ოო, ეს რაღაც ახალია. მსგავსი რამ, გამოგიტყდებით, პირველად მესმის. რა თქმა უნდა, სხვათა რჩევით ვადგენდი ძირითად შემადგენლობას, ამაში ცოლიც ძალიან მეხმარებოდა — ფაბიო, ის ბიჭი კარგად ველარ თამაშობს, სჯობს, რეიესი დააყენოო... საშინელი აბსურდია! არავინ, არც პრეზიდენტი და არც სპორტული დირექტორი ჩემს საქმეებში არ ჩარეულა. თქვენ ეს მშვენივრად იცით.

— ლა ლიგის ჩემპიონობას ვის უძღვნით?

— ჩემს ჯახს.

— რამდენიმე თვის წინ აღნიშნეთ, რომ სეზონის ბოლოს ჩემპიონატის განმავლობაში დაშვებულ შეცდომებს აღიარებდით. ლა ლიგა უკვე დასრულდა...

— დევიდ ბექემთან დამოკიდებულებაში შევცდი, რახან „გალაქსისთან" ხელშეკრულება გააფორმა, მოედანზე აღარ შემყავდა. ასევე ბევრი ამბობს, რომ შევცდი, როცა მიუნხენის „ბაიერნის" წინააღმდეგ სამი საყრდენით ვითამაშე. „დაცვაზე გადამკვდარი" და მსგავსი იარლიყები მომაკრეს. არადა, მე სხვაზე უფრო კარგად ვიცი, ფეხბურთელს რა შეუძლია და რა, არა. კაპელოს ვერავინ ასწავლის, თავისი გუნდი რა სქემით უნდა ათამაშოს.

— „მალიორკასთან" თამაშის შემდეგ რამონ კალდერონმა ჩემპიონობა მოგილოცათ?

— არა.

— სამომავლოდ „რეალი" უთქვენოდ წარმოგიდგენიათ?

— ვნახოთ, რა მოხდება. შეიძლება პრეზიდენტმა სხვა თავკაცსაც დაუძახოს. რამონ კალდერონისგან ბევრი მხარდაჭერა არც მიგრძვნია.

## რამონ კალდერონი: ვიხილეთ ის, რისი დაბრუნებაც ყველას ასე გვინდოდა

— ძალიან ვინერვიულე. ასეთ დღეში ჩავარდნას არავის ვუსურვებ, რადგანაც თავიდან ჩანდა, რომ ოქროს მედლებს ვკარგავდით, თუმცა საბოლოოდ ვაჟკაცობამ და პროფესიონალიზმმა თავისი გაიტანა და სამი გოლის გატანა შევძელით. საოცრება იყო. მთელ მსოფლიოში ჩვენი გამარჯვება მილიონობით ადამიანმა აღნიშნა. ლამაზი ფიესტა გამოვიდა.

— საბოლოოდ ყველაფერი კარგად დასრულდა...

— ურთულესი სეზონი გვქონდა, მაგრამ იმედი არ დაგვიკარგავს და ჯილდოთი დავსაჩუქრდით. ჩვენ შევძელით ისეთი სამუშაოების ჩატარება, რომლის წყალობითაც ხალხი ისე უჭერდა მხარს „რეალს", როგორც არასდროს.

— იკერ კასილიასმა თქვა, რომ ეს პრიმერა ყველაზე საუკეთესო იყო...

— ჩემთვის ყველაზე მაგარი ლა ლიგა იყო, რადგანაც ურთულესი პრობლემები დავძლიეთ და ის კრიტიკოსები ჩავაჩუმეთ, რომლებიც პირდაპირ აცხადებდნენ — ამ „რეალს" ჩემპიონობა არ შეუძლიაო... აღმოჩნდა, რომ შეგვიძლია, თანაც ახალ მწვრთნელთან და ფეხბურთელებთან ერთად.

— სიბელესის შადრევანთან ფიესტას რატომ არ დაესწარით?

— ეს ყველაფერი ფეხბურთელებს დავუთმე. ამ სეზონში ბიჭებმა არნახული თავდადებით იბრძოლეს და „რეალის" მთავარი გმირებიც ისინი არიან და არა კლუბის მმართველობა. ის, რაც ადრე ზღაპრად მოჩანდა, გაერთიანებული ძალებით რეალობად ვაქციეთ.

— გულშემატკივართა მისამართით რას იტყვით?

— იმას, რომ, ბოლოს და ბოლოს, ვიხილეთ ისეთი მადრიდი, რომლის დაბრუნებაც ყველას ასე გვინდოდა. ახლა ზეიმის დრო მოვიდა, ყოველივე საწყენი დავივიწყოთ და მეგობრებთან ერთად ჭიქები შევავსოთ...

— კაპელო გუნდში დარჩება?

— როგორც გითხარით, ახლა ზეიმის დროა. სერიოზულ საქმეებს კი ალბათ ერთ კვირაში დავუბრუნდებით. ვეცდებით, გუნდისთვის მაქსიმალურად სასარგებლო გადაწყვეტილებამდე მივიდეთ.

— ეს გადაწყვეტილება ჯერ არ მიგიღიათ?

— არა, ჯერ არა. მიატოვიჩთან, ბალდინისთან და დირექტორატის სხვა წევრებთან მოვითათბირებთ და მერე გადავწყვეტთ.

— მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ მინდორზეც არ ჩახვედით...

— იმდენი მიძახეს, „სარაგოსას" მოედანზე ნაადრევი ფიესტა არ უნდა მოგეწყოო, რომ „ბერნაბეუზე" ჩასვლისა შემეშინდა... ეს ხუმრობით, ისე კი, ფიესტა ფეხბურთელებს დავუთმე. ისინი ამას ყველაზე მეტად იმსახურებდნენ.

## რაული: ეს ტიტული რწმენამ და ერთიანობამ მოგვიტანა

— რამდენიმეწლიანი ლოდინის შემდეგ გაიხარეთ...

— მადრიდის „რეალი" ამ გამარჯვებას იმსახურებდა. ყველამ იცით, ფანებმა ჯილდოს მოლოდინში რაც გადაიტანეს. ხალხი მიწას ფეხს არ გვაკარებინებდა, ოღონდაც კი ეს ტიტული მოგვეგო.

— როგორ ფიქრობთ, რა იყო „რეალის" გამარჯვების საიდუმლო?

— „რეალმა" გუნდურობის წყალობით გაიმარჯვა. ეს ტიტული რწმენამ და ერთიანობამ მოგვიტანა. გასულ სეზონებში ყველა თავის პირად პრობლემებზე ფიქრობდა და საერთო საქმეზე ნაკლებად ვზრუნავდით. თუმცა აღმოჩნდა, რომ ტიტულების მოსაგებად ერთიანობაა საჭირო.

— ძალიან რთული სეზონი გქონდათ...

— არა მარტო ამ სეზონში, არამედ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ვიწვალეთ. გულშემატკივრები დიდხანს ელოდნენ ტიტულს.

## რობერტო კარლოსი: ძალიან კმაყოფილი და დაღლილი ვარ

— როგორ გრძნობს თავს რობერტო კარლოსი „რეალის" შემადგენლობაში ბოლო ტიტულის მოგების შემდეგ?

— მშვიდად ვარ. მიხარია, როცა მოზეიმე მეგობრებს და გულშემატკივრებს ვხედავ. ისინი ამას იმსახურებენ. ეს მადრიდისთვის უმნიშვნელოვანესი დღეა.

— ბოლო მატჩამდე, უფრო სწორად, ბოლო წუთამდე, გვარიანი გულისხეთქვა მოგიწიათ...

— მართალია. „მალიორკამ" სერიოზული წინააღმდეგობა გაგვიწია და ჩვენც სეზონში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩავატარეთ. ძალიან კმაყოფილი ვარ, თუმცა დაღლილიც...

— რას ფიქრობთ ახლა, როდესაც უკვე აღარ ხართ მადრიდის „რეალის" ფეხბურთელი?

— თავს პრივილეგირებულ ადამიანად ვგრძნობ. ცხოვრებაში არასოდეს ვიფიქრებდი, თუ მადრიდის „რეალის" დარი გრანდისთვის წლების განმავლობაში ამდენ მნიშვნელოვან საქმეს გავაკეთებდი. ბედნიერი ვარ „რეალში" ყოფნით და სევდიანი იმის გამო, რომ აქედან მივდივარ. მაგრამ მე ერთადერთი არ ვარ, ვინც „სანტიაგო ბერნაბეუს" ტოვებს, ამ ზაფხულს მადრიდს „ბექჰი", პავონი და დიეგო ლოპესიც ემშვიდობებიან.

— გამჩნევთ, რომ ძალიან აღელვებული და სევდიანი ხართ...

— აქაურობის მიტოვება მწყინს, თუმცა კარგია, რომ გულშემატკივრებს ჩემპიონად დავემშვიდობე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბელამის ორი ვარიანტი

**ბრიტანული** მედიის ცნობით, „იუვენტუსი" და „რომა" კრეიგ ბელამის შეძენას ცდილობენ. ტურინელები შემადგენლობის გაძლიერებას ემურებიან და კლაუდიო რანიერის 27 წლის უელსელი თვალში მოუვიდა. „ლივერპული" კი მზადაა, გაყიდოს ბელამი. ინგლისური კლუბი ფორვარდში 12 მილიონ გირვანქას ითხოვს, „იუვე" კი ათს იხდის.

ბელამის გადაბირება „რომასაც" უნდა. რაფაელ ბენიტესს რომაელი ამანტინო მანსინის ყიდვა სურს და მსურველს გაცვლას სთავაზობს.

## კორინი ტორინოში

**„პალერმოს"** ნახევარმცველი ეუჯენიო კორინი „ტორინოში" გადავიდა და ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 36 წლის ფეხბურთელს სიცილიურ კლუბთან ხელშეკრულება დაუმთავრდა და თავისუფალი აგენტი იყო. იგი „ტორინოში" სეზონში 300 ათას გირვანქას მიიღებს.

კორინიმ კარიერა „ბრეშაში" დაიწყო. შემდეგ იყო „იუვენტუსი", „სამპდორია", „ნაპოლი", „პიაჩენცა", „კიევო" და „ვერონა", ხოლო „პალერმოში" 2003 წელს მივიდა.

## აგენტმა თქვა ტოტენჰემი

**„რომას"** შვედი ნახევარმცველის, კრისტიან ვილჰელმსონის აგენტმა თქვა, რომ მისი კლიენტით „ტოტენჰემი" დაინტერესდა. „ნანტის" ფეხბურთელი იანვარში იქირავა იტალიურმა კლუბმა და მის გამოსასყიდად 2 მილიონი გირვანქა უნდა გადაიხადოს.

„ვილჰელმსონს „რომაში" დარჩენა უნდა, მაგრამ „ტოტენჰემისგანაც" მივიღეთ წინადადება" — განაცხადა აგენტმა მინო რაიოლამ.

## იუვეს ფერეირული დაცვა

**იტალიური** მედიის ცნობით, „იუვენტუსს" ვიტორინო გაბრიელ პაშეკუ ანტუნესის ყიდვა უნდა. პორტუგალიის ნაკრებისა და „ფერეირას" 20 წლის მცველს კარგი სეზონი ჰქონდა.

ანტუნესის ფასი დაახლოებით მილიონ 500 ათასი გირვანქაა და მისი შეძენა „ვიჩენცასაც" სურს.

## პირველ რიგში ველიზა

**„არსენალს"** „სპორტინგის" ორი ფეხბურთელის შეძენა უნდა. ჟოაუ მუტინიუსა და მიგელ ველოზოს თამაშს ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატზე არსენ ვენგერი აკვირდება. ვენგერი პირველ რიგში საყრდენ ნახევარმცველ ველოზოს ყიდვას აპირებს, რომლითაც „მანჩესტერიცაა" დაინტერესებული.

## სავიოლას სარაგოსა

**GOAL.COM-ის** ცნობით, შესაძლოა, ხავიერ სავიოლა „სარაგოსაში" გადავიდეს. არგენტინელი ფორვარდი „ბარსელონას" ეკუთვნის, მაგრამ ივლისში თავისუფალი აგენტი გახდება. სავიოლას „სარაგოსა" წელიწადში მილიონ 300 ათას ევროს სთავაზობს.

## ჰამინუ მოსკოვში

**განის** ნაკრებისა და თურქული „გენჩლერბირლიგის" შემტევი ნახევარმცველი ჰამინუ დრამანი მოსკოვის „ლოკომოტივში" გადადის. ამის შესახებ განის ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალურად განაცხადა.

რუსული კლუბი დრამანის სანაცვლოდ 3 მილიონ ევროს იხდის.

## ქირავდება იზმაილოვი

**პორტუგალიური** „რეკორდის" ცნობით, მოსკოვის „ლოკომოტივის" შემტევი მარატ იზმაილოვი ლისაბონის „სპორტინგში" გადადის.

რუსს ლისაბონური კლუბი ერთი სეზონით იქირავებს შემდგომში კონტრაქტის გამოსყიდვის უფლებით.

## ესნალი პრეზიდენტს გაექცა

**„ბილბაოს"** მწვრთნელი ხოსე მანუელ ესნალ პარდო მას შემდეგ გადადგა, რაც ბოლო ტურში მოგებით გუნდს პრიმერადივიზიონში ადგილი შეუნარჩუნა. ივლისში „ბილბაოს" პრეზიდენტის არჩევნები გაიმართება და „მანუმ" ამ რია-რიაში გარევა არ ისურვა.

ბასკური კლუბი პრიმერადივიზიონიდან არასოდეს გავარდნილა და გუშინწინ „ლევანტეს" დამარცხებით ელიტაში დარჩა.

## ტევესი ცხრა ღირს

**„ვესტ ჰემის"** არგენტინელი ფორვარდი კარლოს ტევესი უახლოეს დღეებში კლუბთან კონტრაქტს გააზანგრძლივებს.

ლონდონური კლუბის შეფები ყველანაირად ცდილობდნენ, რომ ტევესი გუნდში დარჩენილიყო. 23 წლის თავდამსხმელთან ხელშეკრულების გაგრძელება „ჩაქუჩებს" 9 მილიონი გირვანქა დაუჯდებათ.

**ვაჟა ხუციშვილი**

### ბრაზილია

სერია A

VI ტური

ბოტაფოგო 3:1 ნაუტიკო

ჟუვენტუდე 0:2 სანტოსი

სპორტ რესიფე 2:2 ამერიკა

### კონკაკაფის ოქროს თასი 2007

მეოთხედფინალი

ჰონდურასი 1:2 გვადალუპე

### აშშ

MLS. XIII ტური

ლოს ანჯელესი 3:2 სოლტ ლეიკი

# ზვიგენი მოლაპარაკების მაგიდასთან



აბიდალი და ოლა

**„ბარსელონას"** ერიკ აბიდალის ყიდვა სურს, რათა მარცხენა ფლანგი გააძლიეროს. საფრანგეთის ნაკრებისა და „ლიონის" მცველის სურვილიც კატალონიაში გადაბარგებაა, თუმცა „ბარსელონასა" და აბიდალის სატრანსფერო სიყვარულს ხელს ისევ უშლის „ლიონის" პრეზიდენტი ჟან-მიშელ ოლა.

ამ კაცს გაჯავრებულმა კატალონიელებმა „ტიბურონ ენ ლა მესა", ანუ „ზვიგენი მოლაპარაკების მაგიდასთან" შეარქვეს. ჟან-მიშელ ოლამ ჯერ „ჩელსის" დააწყვიტა ნერვები მიკაელ ესიენის ტრანსფერისას, მერე მაჰამადუ დიარას „რეალში" გადასვლისას გადარია მადრიდელები და ახლა „ბარსას" შლის ჭკუიდან.

ხუან ლაპორტას ბანაკმა „ლიონს" აბიდალში ჯერ 9 მილიონი ევრო შესთავაზა, შემდეგ 14, თუმცა „ბარსელონამ" მუსიე ოლას ფინანსურ მოთხოვნათა დაკმაყოფილება მაინც ვერ შეძლო...

თავიდან „ლიონის" თავკაცი იმას მაინც ამბობდა, აბიდალს გავყიდით, ოღონდ შესაბამის ფასადო (ოლას მიერ ერიკზე დაწესებული სატრანსფერო გადასახადი 20 მილიონი ევროა). ახლა კი, როცა „ბარსას" შემოთავაზებები მოისმინა და დარწმუნდა, რომ კატალონიელები 14-მილიონიან ზღვარს არ გადასცილდებიან, პრეზიდენტმა კლუბის ვებგვერდის საშუალებით მსოფლიოს ასეთი რამ ამცნო: „აბიდალს სულაც არ გავყიდით. გვინდა, რომ ერიკმა თამაში „ლიონში" გააგრძელოს. ჩვენ ვიცით, საჭირო ფეხბურთელები კლუბში როგორ უნდა შევინარჩუნოთ — კუპემ, რეველიერმა და ჟუნინიომ კონტრაქტები უკვე გააზანგრძლივეს. ასევე იქნება აბიდალის შემთხვევაშიც. ამ ფეხბურთელის გაყიდვის შესაძლებლობა პრაქტიკულად გამოირიცხა".

საინტერესოა, როგორ მოახერხებს ოლა აბიდალის „კარცერში გაჩერებას", რადგან ფეხბურთელს „ბარსაში" გადასვლა სულით და გულით უნდა. აკი სთხოვა კიდეც პრეზიდენტს, „ბარსასთან" ყველაფერი მოვაგვარე და იქნებ კატალონიურ გუნდში გადასვლა გამიადვილო და ხელი არ შემიშალოო.

**ლადო ხომერიკი**

# ცრუ ბიჭები ვესტ ჰემიდან



**ინგლისის** ნაკრების ყოფილი ფორვარდი ტედი შერინგემი ცრუ ჩვენების მიცემისთვის დააპატიმრეს. იგი ავტომობილს დაშვებულზე მეტის სიჩქარით მიაქროლებდა და ამის გამო მოხვდა პოლიციაში მაისის თვეში. მასთან ერთად იყვნენ თანაგუნდელები — ბობი ზამორა და შონ ნიუტონი — და რაკი არც მათ გასჭირვებიათ ტყუილების ლაქლაქი, რამდენიმე დღის წინ ისინიც მიაყოლეს.

სამივე ვესტჰემელია, თუმც 41 წლის შერინგემი გასული სეზონის ბოლოს წავიდა გუნდიდან. 23-წლიან კარიერაში მას კლუბებსა თუ ნაკრებებში 950 მატჩი უთამაშია.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მითხარი, რა მანქანა გყავს და გეტყვი...

## ჯეფ ჰერსტი

თავდამსხმელი

დაიბადა 1941 წლის 8 დეკემბერს ეშტონში

კარიერა: 1959-72 წლები — „ვესტ ჰემ იუნაიტედი" (411 მატჩი, 180 გოლი), 1972-75 წლები — „სტოკ სიტი" (108 მატჩი, 30 გოლი), 1975-76 წლები — „ვესტ ბრომვიჩი" (10 მატჩი, 2 გოლი), 1976 წელი — „სონდერსი" (24 მატჩი, 9 გოლი)

1966-72 წლებში თამაშობდა ინგლისის ნაკრებში (49 მატჩი, 24 გოლი)






## FORD cortina

გამოშვების თარიღი: 1967 წელი

სიგრძე: 4,267 მეტრი

სიგანე: 1,714 მეტრი

სიმაღლე: 1,320 მეტრი

წონა: 1 500 კგ

ცილინდრი: 4

ძრავის კუბატურა: 1,5

მექანიკური გადაცემათა კოლოფი

სიჩქარე: 141 კმ/სთ

100 კმ/სთ-ს ავითარებს 11,8 წამში

ფასი: 5 000 გირვანქა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრიტანეთის იმპერიის ოფიცრის მეოთხე ხარისხის ორდენით დაჯილდოვებული რაიან გიგზი „მანჩესტერის“ ერთ-ერთი ლიდერია და გუნდთან ერთად ბევრი წარმატებისთვის მიუღწევია. სერ ალექს ფერგიუსონმა კი თქვა, მომავალ სეზონშიც მისი დიდი იმედი მაქვსო. უელსელმა პრემიერლიგა ცხრაჯერ მოიგო, რაც ინგლისის რეკორდია. თასი კი გიგზმა ოთხჯერ მოიპოვა.
ახლახან **manutd.com**-ის ჟურნალისტმა ბენ ჰიბსმა მას ინტერვიუ ჩამოართვა...



# ვამაყობ, მაგრამ უკან არ ვიხედები

## რაიან გიგზი ასაკს ვერ გრძნობს

— სად იყავით, როცა ოფიციალურად გაირკვა, რომ „მანჩესტერი“ ჩემპიონი გახდა?

— სტუმრად მეგობართან. საერთოდ, მეტოქეების თამაშს ხშირად არ ვადევნებ თვალს. გასულ სეზონში სახლში რამდენჯერმე ვუყურე „ჩელსის“ მატჩს, მაგრამ ლონდონელებმა ყველა მოიგეს. ერთხელაც, როცა „ჩელსი“ სტუმრად „ნიუკასლს“ ხვდებოდა, მეგობართან ვიყავი. არ ველოდი, მაგრამ შეხვედრა ფრედ დასრულდა. ამიტომ გადავწყვიტე, „არსენალთან“ შეხვედრაც იქ მენახა.

— როგორი რეაქცია გქონდათ საფინალო სასტვენის შემდეგ?

— ძალიან გახარებული ვიყავი. იმ დროს სხვა მეგობრებიც იყვნენ, რომლებიც „მანჩესტერს“ ქომაგობენ და ერთად აღვნიშნეთ წარმატება. თუმცა, იმწუთას ყველაზე მეტად თანაგუნდელებთან ერთად ყოფნა მინდოდა. სიმართლე გითხრათ, მერე „ვესტ ჰემთან“ მატჩის დასრულებამდე ძლივს მოვითმინეთ და მთელი შემადგენლობით, ქომაგებთან ერთად, როგორც საჭირო იყო, ისე ვიზეიმეთ ჩემპიონობა.

— დღევანდელ გუნდს ფერგიუსონის ხელში შექმნილ მესამე „მანჩესტერს“ ეძახიან. რით განსხვავდება იგი წინა ორისგან?

— ვფიქრობ, დღევანდელი გუნდი 1993 წლისას ჰგავს, რომელშიც ვთამაშობდით — მე, შარპი, კანჩელსკისი... კონტრიერიშები და, ზოგადად, შეტევაში თამაში ჩინებულად გამოგვდიოდა. შემდეგ მოვიდნენ ინსი და კინი. მათი სტილის ფეხბურთელები საშუალებას გაძლევენ, თამაში უფრო დააბალანსო და მოედნის ცენტრშიც გაძლიერდე. დღეს რუნი, რონალდუ და საა გვეხმარებიან, რათა სწრაფად და მძლავრად შევუტიოთ. ეს კი ჩვენს დაცვას უჩენს მეტ პრობლემას, მაგრამ გასულ სეზონში ჩვენმა მცველებმა ბრწყინვალედ ითამაშეს.

— რამდენად მნიშვნელოვანი იყო გუნდის წარმატებაში დაცვის, კერძოდ, ფერდინანდ-ვიდიჩის წყვილის სტაბილურად თამაში?

— ეს შეუფასებელია. თუ ჩემპიონობა გინდა, ძლიერი დაცვა და მეკარე უნდა გყავდეს. მაგალითად, „ჩელსის“ დაცვის ცენტრში, კარვალიო-ტერის წყვილმა წინა სეზონებში თითქმის ყველა მატჩში ითამაშა, თან მაღალ დონეზე და ეს ლონდონელთა წარმატების საწინდარი იყო. ჩვენზეც ამგვარი რამის თქმა შეიძლება. მარტო ფერდინანდმა და ვიდიჩმა კი არა, მთელმა დაცვამ ჩინებულად გაართვა საქმეს თავი. მათი წყალობით წინ მშვიდად მივდიოდით და ბევრი გოლი გაგვქონდა.

— გასულ სეზონში თქვენი თანაგუნდელებიდან ვინ დატოვა ყველაზე კარგი შთაბეჭდილება?

— საერთოდ, არ მიყვარს კონკრეტულად ერთი ფეხბურთელის გამორჩევა, მაგრამ კრიშტიანუ რონალდუ ბრწყინვალე იყო. ასეთ ახალგაზრდულ ასაკში მაღალ დონეზე სტაბილურად თამაში ბევრს ნიშნავს. მთლიანობაში კი, ჩვენი წარმატების მთავარი მიზეზი მაინც გუნდური თამაში იყო. ჩვენ ძლიერი, შეკრული გუნდი გვყავს და ყველამ საკუთარი წვლილი შევიტანეთ საერთო საქმეში.

— ანუ მთავარი მაინც გუნდური თამაში იყო?

— რასაკვირველია. მწვრთნელმა თავიდანვე გვითხრა, რომ თითოეული ჩვენგანი ერთი მთლიანის ნაწილი უნდა ყოფილიყო. გამართული გუნდური თამაში ძალიან მნიშვნელოვანია. თან თანამედროვე ფეხბურთი სულ სხვაგვარია. 20 წლის წინა, როცა თამაშს ვიწყებდი, გუნდში 14-15 გამორჩეული მოთამაშე იყო. ახლა კი სეზონის მსვლელობისას ძირითად შემადგენლობაში 22-23 ფეხბურთელი თამაშობს და ყველას თავისი წვლილი შეაქვს წარმატებაში. მაგალითად, ჰენრიკ ლარსონი ჩვენთან 10 კვირა იყო და ძალიან დაგვეხმარა. იგივე ოში და ფლეტჩერი, რომელ პოზიციაზე აღარ მოუხდათ მათ ამ სეზონში თამაში...

— ბევრს ლაპარაკობენ „მანჩესტერის“ თამაშის ხარისხზე და სტილზე. არადა, არანაკლებ მნიშვნელოვანია გუნდის მებრძოლი ხასიათი, რამაც არაერთხელ შემოგვაბრუნებინათ მატჩები...

— რა თქმა უნდა. ყველა მატჩში ბევრ გოლს ვერ გაიტან და იოლად ვერ მოიგებ. ზოგჯერ ძლიერი ან ჯიუტი მეტოქე შეგხვდება და ნერვიულობა მოგიწევს. ასეთ ვითარებაში მთავარია, პანიკაში არ ჩავარდე და ხასიათი გამოავლინო. გამოცდილმა ფეხბურთელებმა იციან, ეს როგორ უნდა გაკეთდეს. როგორც უკვე ვთქვი, ბევრს ნიშნავს, როცა შენს ზურგს უკან საიმედო ბიჭები არიან. ეს გაძლევს საშუალებას, ნებისმიერ მომენტში თამამად წახვიდე წინ და გოლის გატანა სცადო. ჩვენ ეს ყველაფერი გვქონდა გასულ სეზონში და რამდენჯერმე მართლაც რთული შეხვედრა შემოვატრიალეთ. ბევრ მატჩში გავიბრწყინეთ, მაგრამ იყო შეხვედრები, სადაც თამაშით საამაყო არაფერი გვქონდა, ოღონდ შედეგი მაინც „მანჩესტერის“ სასარგებლოდ გახლდათ. ალბათ ხედავთ, ყოველწლიურად როგორ გააქვთ ძლიერ გუნდებს ბოლო წამებზე გოლები და, ეს ძირითადად მაშინ ხდება, როცა მათ თამაში არ მისდით, მაგრამ გამოცდილებისა და მებრძოლი ხასიათის წყალობით ახერხებენ გატანას.

— რას გრძნობს პრემიერლიგის ცხრაჯერ მომგები ფეხბურთელი, რომელმაც ამ მხრივ რეკორდი დაამყარა?

— ეს განსაკუთრებული, სასიამოვნო გრძნობაა. ყველაზე მეტად მიხარია, რომ „ლივერპულის“ ორი ფეხბურთელის — ალან ჰანსენისა და ფილ ნილის — რეკორდი გავაუმჯობესე. თუმცა სეზონის მსვლელობისას იმაზე არ ვფიქრობდი, რომ ეს ჩემპიონობა ჩემთვის მეცხრე იქნებოდა. ჩვენ მივისწრაფოდით პირველობისკენ, რათა სამწლიანი პაუზისა და მოლოდინის შემდეგ კვლავ აღგვემართა თასი. ჩემთვის მთავარი სწორედ გუნდის წარმატებაა, პირადი მიღწევები მეორე პლანზეა.

— როგორც ჩანს, თქვენთვის მთავარი მაინც თამაშია და არა ჯილდოები. თუმცა თავად გჯერათ, რომ ამდენი ტიტულის მოგება შეძელით?

— ფეხბურთელს კარიერის ყველა ეტაპზე გარკვეული მიზანი უნდა ჰქონდეს დასახული და მისკენ მიისწრაფვოდეს. როცა რეზერვში ვიყავი, ჯერ ძირითად გუნდში მოხვედრისკენ მივისწრაფოდი, მერე ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრებისკენ და ასე შემდეგ. ყველა ტურნირში, რომელშიც ვმონაწილეობთ, მოსაგებად ვთამაშობ, ეს მთავარია. მოტივაცია სულ უნდა მქონდეს, პირად რეკორდებსა და მიღწევებს კი დიდ ყურადღებას არ ვაქცევ, ეს ჩემთვის არც ისე მნიშვნელოვანია.

— რატომ?

— პასუხი მარტივია: უბრალოდ, წინსვლა მინდა და არა უკან ყურება. უკვე ახლა ვფიქრობ იმაზე, თუ როგორ დავეხმარო გუნდს მორიგი ტიტულის მოგებაში. არა, რასაკვირველია, ვამაყობ იმ ყველაფრით, რასაც მივაღწიე, მაგრამ იმ ჯილდოებითა და რეკორდებით უფრო მერე დავტკბები, კარიერას რომ დავასრულებ. ამისთვის მეტი დროც მექნება და სურვილიც. ახლა კი ერთი სული მაქვს, მომავალი სეზონი როდის დაიწყება და მინდორზე როდის გავალ. ჩვენ მოქმედი ჩემპიონები ვიქნებით და ტიტული უნდა დავიცვათ.

— რით განსხვავდება ეს ჩემპიონობა წინამორბედთაგან?

— იმით, რომ ამ ჩემპიონობისთვის მეტი ოფლის ღვრა დაგვჭირდა. ახლა პირველობისთვის გაცილებით მეტი ძალაა საჭირო. წინა სამ სეზონში ჯერ „არსენალმა“ და მერე „ჩელსიმ“ დიდი ბრძოლა გაგვიმართეს. მაშინ ჩვენ ახალგაზრდა გუნდი გვყავდა, ბევრმა არ იცოდა ჩემპიონობის გემო და ეს მათ დიდ სტიმულს აძლევდა. ამან კარგად იმოქმედა რუნიზე, რონალდუზე, ვიდიჩზე, ევრაზე, პარკზე და სხვებზეც. მწვრთნელი ყოველთვისეუბნება ახალწვეულებს: „ტიტულები — აი, ახლა მხოლოდ მათი მოგება გრჩება“. როცა ოფიციალურად გავხდით ჩემპიონები, ვოცნებობდი, იმ მომენტში მათი სახეებისთვის შემეხედა. დღემდე კარგად მახსოვს ჩემი გრძნობები, როცა პირველად გავხდი ჩემპიონი, ამას ვერასდროს დავივიწყებ.

— ეს 1993 წელს მოხდა...

— დიახ. საერთოდ, ეს ჩემპიონობა ძალიან მაგონებს მაშინდელს. ორივე შემთხვევაში ბრწყინვალე გუნდური თამაშით შევძელით ჩემპიონობა. ახლა კლუბში ჩინებული ატმოსფეროა, ყველამ იცის, რომ გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანა.

— ბოლო ორ სეზონში „ჩელსი“ დომინირებდა, როგორც სატრანსფერო ბაზარზე, ასევე მინდორზე. ამიტომ ეს გამარჯვება ალბათ ორმაგად სასიხარულოა...

— ეს ჩვენთვის დიდი გამოწვევა იყო, ისევე, როგორც პრემიერლიგის სხვა გუნდებისთვის. „ჩელსის“ დიდი ფული გაუჩნდა და შეუძლია, თითქმის ყველა იყიდოს, ვინც მოუნდება. როცა ლონდონელებს დაშავებული არავინ ჰყავთ, ორი თანაბარი ძალის გუნდის გაკეთება შეუძლიათ. გასულ სეზონში ოდნავ ისიც დაგვეხმარა, რომ „ჩელსის“ ფეხბურთელები ხშირად იღებდნენ ტრავმებს. ჩვენ მსგავსი პრობლემა ბოლო მომენტამდე არ გვქონია, მაგრამ სეზონის დასრულებამდე რამდენიმე კვირით ადრე მაინც ბევრმა მოთამაშემ, განსაკუთრებით, მცველებმა, ამოყო ლაზარეთში თავი. წინა სეზონებშიც მსგავსი პრობლემა გვქონდა, ტრავმების ეპიდემია განსაკუთრებით ბოლოსკენ დაგვატყდებოდა ხოლმე თავს, მაგრამ ამჯერად ამასაც გავუმკლავდით.

— სეზონის დაწყებამდე თუ გჯეროდათ, რომ ჩემპიონობას შეძლებდით?

— ერთი, რაშიც ნამდვილად დარწმუნებული ვიყავი, ის იყო, რომ ტიტულისთვის მებრძოლ ყველა გუნდს გავუწევდით კონკურენციას. თავდაჯერება შეგვმატა კარგმა სტარტმა და მივედით კიდეც ბოლომდე. მნიშვნელოვანი იყო გამოცდილი ფეხბურთელებისა და მწვრთნელის ფაქტორიც. ახლა, მთლიანობაში ჩვენ ახალგაზრდა გუნდი გვყავს, რომელმაც ისწავლა, როგორ უნდა მიაღწიოს სერიოზულ წარმატებებს.

— ანუ ეს წარმატება გუნდის მომავალზე კარგად იმოქმედებს?

— რასაკვირველია. ეს ახალგაზრდა ფეხბურთელებს საკუთარი თავის რწმენას შემატებს და ისინი ამიერიდან უფრო თავდაჯერებულად ითამაშებენ. გასულ სეზონში მიღებული გამოცდილება მათ ახალი სირთულეების გადალახვაში დაეხმარებათ. ეს ტიტული ძალიან მნიშვნელოვანი იყო რუნისთვის, რონალდუსთვის და სხვებისთვის...

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | რუსეთი | | | | | | |
| | | 20 ივნისი | | | | | | |
| 14:00 | 1 | ლოკომოტივი მ-ამკარი | 1.45 | 3.60 | 7.50 | 1.03 | 1.21 | 2.43 |
| | | ნორვეგია. ტიპელიგა | | | | | | |
| | | 20 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 19 | ბრანი-ალესუნდი | 1.35 | 3.80 | 6.50 | 1.00 | 1.11 | 2.39 |
| 21:00 | 20 | სტრიომსგოდსეტი-ტრომსიო | 2.20 | 3.20 | 2.65 | 1.30 | 1.20 | 1.44 |
| 21:00 | 21 | სანდეფიორდი-ფრედრიკსტადი | 2.20 | 3.20 | 2.70 | 1.30 | 1.21 | 1.46 |
| 21:00 | 22 | სტაბეკი-ვიკინგი | 2.00 | 3.20 | 3.00 | 1.23 | 1.20 | 1.54 |
| 23:25 | 23 | ვოლერენგა-ლინი | 2.20 | 3.10 | 2.70 | 1.28 | 1.21 | 1.44 |
| | | 21 ივნისი | | | | | | |
| 20:30 | 24 | სტარტი-ოდ გრენლანდი | 1.55 | 3.50 | 4.80 | 1.07 | 1.17 | 2.02 |
| 22:30 | 25 | რუსენბორგი-ლილესტრიომი | 1.95 | 3.20 | 3.20 | 1.21 | 1.21 | 1.60 |
| | | ნორვეგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 20 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 33 | ბრინი-ჰაუგესუნდი | 1.85 | 3.30 | 3.50 | 1.18 | 1.21 | 1.69 |
| 21:00 | 34 | ჰიონეფოსი-მანდალი | 1.35 | 3.80 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 2.46 |
| 21:00 | 35 | ლოვ ჰამ-ბოდიო გლიმტი | 4.00 | 3.50 | 1.70 | 1.86 | 1.19 | 1.14 |
| 21:00 | 36 | მოლდე-ნოტოდენი | 1.35 | 3.80 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 2.46 |
| 21:00 | 37 | მოსი-სკეიდი | 1.30 | 4.00 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.66 |
| 21:00 | 38 | რაუფოსი-ტრომსდალენი | 2.20 | 3.30 | 2.70 | 1.32 | 1.21 | 1.48 |
| 21:00 | 39 | სოგნდალი-კონგსვინგერი | 1.60 | 3.50 | 4.50 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 21:00 | 40 | სპარტა ს-ჰამარი | 5.00 | 4.10 | 1.45 | 2.25 | 1.12 | 1.07 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა | | | | | | |
| | | 19 ივნისი | | | | | | |
| 22:00 | 52 | ჰამარბი-იურგორდენი | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |
| | | ისლანდია | | | | | | |
| | | 19 ივნისი | | | | | | |
| 23:55 | 124 | აკრანესი-ვალური | 2.90 | 3.00 | 2.30 | 1.47 | 1.28 | 1.30 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | იაპონია | | | | | | |
| | | 20 ივნისი | | | | | | |
| 14:00 | 76 | ტოკიო-კოფუ | 1.85 | 3.20 | 3.45 | 1.17 | 1.20 | 1.66 |
| 14:00 | 77 | ივატა-ომია | 1.47 | 3.20 | 6.00 | 1.00 | 1.18 | 2.08 |
| 14:00 | 78 | კაშივა-კაშიმა | 2.30 | 3.00 | 2.70 | 1.30 | 1.24 | 1.42 |
| 14:00 | 79 | ნაგოია-შიმიცუ | 2.10 | 3.10 | 2.90 | 1.25 | 1.21 | 1.49 |
| 14:00 | 80 | ოიტა-იჩიჰარა | 2.00 | 3.10 | 3.15 | 1.21 | 1.22 | 1.56 |
| 14:00 | 81 | ჰიროსიმა-კავასაკი | 2.40 | 3.00 | 2.55 | 1.33 | 1.23 | 1.37 |
| 14:00 | 82 | ურავა-კობე | 1.40 | 3.50 | 6.70 | 1.00 | 1.15 | 2.29 |
| 14:00 | 83 | იოკოჰამა ფმ-გამბა | 3.35 | 3.20 | 1.90 | 1.63 | 1.21 | 1.19 |
| | | ევ. შესარჩევი მატჩები(21) | | | | | | |
| | | 20 ივნისი | | | | | | |
| 20:15 | 155 | ჰოლანდია 21-ინგლისი 21 | 2.00 | 3.20 | 3.00 | 1.23 | 1.20 | 1.54 |
| 22:45 | 156 | სერბეთი 21-ბელგია 21 | 2.30 | 3.00 | 2.65 | 1.30 | 1.23 | 1.40 |
| | | ოქროს თასი 2007 (აშშ) | | | | | | |
| | | 21 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 153 | კანადა-აშშ | 1.40 | 3.80 | 5.85 | 1.02 | 1.12 | 2.30 |
| | | ლიბერტადორესის თასი | | | | | | |
| | | 20 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 120 | გრემიო-ბოკა ხუნიორსი | 1.80 | 3.20 | 3.60 | 1.15 | 1.20 | 1.69 |
| | | კალათბურთი. ესპანეთი | | | | | | |
| | | 19 ივნისი | | | | | | |
| 23:00 | 122 | რეალი-ბარსელონა | 1.30 | 12.00 | 2.00 | 1.17 | 1.00 | 1.71 |
| | | კალათბურთი. საბერძნეთი | | | | | | |
| | | 19 ივნისი | | | | | | |
| 19:45 | 121 | არისი-პანიონიოსი | 1.30 | 12.00 | 3.00 | 1.17 | 1.00 | 2.40 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

ავტორბოლა

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი

# ლე მანის ოთხი რგოლი

## დღე-ღამე წლეულსაც აუდიმ გაასწორა



AFP ლე მანიდან

**ავტოსამყაროში** ყველაზე პრესტიჟული სუპერმარათონი — „ლე მანის 24 საათი" — წლეულს 75-ედ ჩატარდა. მანქანებისა და მძღოლების უმძიმესი გამოცდის პოლიგონად შერჩეულია მდინარე ლუარას ველზე გამავალი გზები, რომლებიც ფრანგული ატლანტიკის სანაპიროს პარიზთან აერთებს.

წრის სიგრძე 13,6 კილომეტრია. მანქანების მინიმალური წონა 925 კილოგრამი, ძრავები — ზოგი ბენზინის, ზოგიც დიზელის, 650 ცხენის ძალას ავითარებს. შეჯიბრება ოთხ კატეგორიაში ეწყობა, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია LMP1 (ლე მან პროტოტიპ) კლასი და იქ გამარჯვება. რბოლა შაბათს საღამოს ხუთ საათზე იწყება და მეორე დღეს იმავე დროს წყდება.

წლეულს ერთმანეთს 54 ეკიპაჟი გაეჯიბრა. ამდენი მონაწილე თითქმის ოცი წელია, არ ყოფილა. ყოველ ეკიპაჟში სამ-სამი მძღოლია, რომლებიც მორიგეობით უსხედან საჭეს.

ფავორიტებად ბოლო რვა მარათონში შვიდჯერ გამარჯვებული გერმანული „აუდი" და 14 წლის შემდეგ ლე მანში დაბრუნებული მასპინძელი „პეჟო" ითვლებოდა. ორივე სუპერკონცერნის ბოლიდებს დიზელის ძრავები ედგათ და ყველა მოუთმენლად ელოდა „დიზელის ომის" ფინალს, მაგრამ ბრძოლა არ შედგა.

კვალიფიკაცია „პეჟომ" მოიგო და გასახურებელი წრის შემდეგ რბოლა შეუჩერებელი სვლით ყველაზე წინაც დაიწყო, მაგრამ უკვე მესამე მოსახვევში „ფრანგული ლომი" ტრასას გადასცდა და ლიდერობა „აუდიმ" იგდო ხელთ. „ინგოლშტადტის ექსპრესის" ღირსებას იცავდნენ „ლე მანის" სარეკორდო, შვიდგზის ჩემპიონი, დანიელი ტომ კრისტენსენი, აგრეთვე იტალიელი რენალდო კაპელო და შოტლანდიელი ექსმეფორმულე ალან მაკნიში. ამ შერეულმა ეკიპაჟმა თავიდანვე საგრძნობლად ჩამოიტოვა მდევრები და გამარჯვებაც თითქმის განაღდებული ჰქონდა — ფინიშამდე შვიდი საათით ადრე სამი წრით, ანუ 40 კილომეტრით უსწრებდა უახლოეს მეტოქეს, მაგრამ ვერცხლისფერ პროტოტიპს უკანა ბორბალი მოსძვრა და გზაბნეული ძველი საბურავების დამცავ კედელში შევარდა. ამ ბრმა უიღბლობისას საჭეს კაპელო უჯდა, რომელიც იმ დღეს 43 წლის შესრულდა.

ასე მოულოდნელად ლიდერობა შარშანდელ გამარჯვებულს, „აუდის" პირველ ეკიპაჟს — ემანუელე პირო (იტალია), ფრანკ ბიელა, მარკო ვერნერი (ორივე გერმანია)—ერგო და საბოლოოდ ამ ტრიომ უზარმაზარი, ათწრიანი უპირატესობით აჯობა „პეჟოს" ფრანგულ სამეულს — პედრო ლამი, სტეფან სარაზენი, სებასტიან ბურდე.

მესამე ადგილზე ასევე ყოფილი მეფორმულის, აწ კი ბოსის, ანრი პესკაროლოს გუნდი „ჯადი" გავიდა.

აღსანიშნავია, რომ ლე მანში პირველად გაიჯირითა ფორმულა 1-ის მსოფლიოს ექსჩემპიონმა ჟაკ ვილნევმა. კანადელი პილოტიც „პეჟოთი" გამოდიოდა ესპანელ მარკ ჟენესა და ფრანგ ნიკოლა მინასიანთან ერთად და ლამის ბოლომდე მეორე პოზიციას ინარჩუნებდა, მაგრამ საათზე ოდნავ მეტი რჩებოდა, როცა „ლომს" ძრავამ უმტყუნა.

**გია ახალაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ენდი როდიკის მეოთხე კათხა



AFP ლონდონიდან

კაცები
„სტელა არტუას" ჩემპიონატი. „ქუინს ქლაბი". ბრიტანეთი. ბალახი. საპრიზო 680 250 €

ფინალი

**ენდი როდიკი (2, აშშ) — ნიკოლა მაჰუ (საფრანგეთი) 4:6 7:6 7:6**

2000 წლიდან მოყოლებული, ლონდონის „სამეფო კლუბში" ან ლეიტონ ჰიუიტი იგებს, ანაც ენდი როდიკი. თანაც ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ავსტრალიელი და ამერიკელი ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო მეტჯერ იჩემპიონებს აქაურ კორტებზე — ოზი შარშან დაწინაურდა, როცა ეს ტიტული მეოთხედ მოიგო, მაგრამ ამერიკელმა დიდი ხნით ჩამორჩენა არ ისურვა და ერთი წლის თავზე ავსტრალიელს ისევ დაეწია. ისე, ამ ორის გარდა „ქუინსში" ოთხჯერ კიდევ ორ დიდ კაცს, ჯონ მაკინროისა და ბორის ბეკერს უჩემპიონიათ.

როდიკმა ამ გამარჯვებით დაამტკიცა, რომ წლეულს უიმბლდონს სერიოზულად უმიზნებს და ყველანაირად ეცდება როჯერ ფედერერის ოთხწლიანი ჰეგემონიის დამხობას. იანკი-ბოი ამის მთავარი პრეტენდენტი კი არის, მაგრამ აქვე ვთქვათ, რომ, მიუხედავად ტრიუმფისა, კვირას იგი მაინც ვერ იყო მთლად დამაჯერებელი. თუნდაც ის რად ღირს, რომ ერთხელაც ვერ აართვა მოწოდება სიურპრიზად ქცეულ, მაგრამ მაინც საშუალო კლასის ნიკოლა მაჰუს და მხოლოდ მეტოქის გამოუცდელობის დამსახურებაა, თასი ამერიკელს რომ დარჩა. ფრანგს მეორე სეტში ტაიბრეიკზე მატჩ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ ადგა და ბურთი მაინდამაინც ბადეს გაარტყა. როდიკი კი, რაც არ უნდა ცუდად თამაშობდეს, ის ჩიტი არაა, მაჰუს დონის ჩოგნის მქნეველს ასეთი რამ აპატიოს.

სხვათა შორის, ამ გამარჯვების შემდეგ როდიკმა „მასწავლებელს" აჯობა — ენდის მწვრთნელ ჯიმი კონორსს განთქმული ლუდის „სტელა არტუას" პირველობაზე „მხოლოდ" სამჯერ უმარჯვია.

კაცები
ჰალე. გერმანია. ბალახი. საპრიზო 680 250 €

ფინალი

**ტომაშ ბერდიხი (4, ჩეხეთი) — მარკოს ბაღდატისი (8, კვიპროსი) 7:5 6:4**

როჯერ ფედერერის ჰალეში ჩაუსვლელობით ტომაშ ბერდიხმა ისარგებლა. 21 წლის ჩეხი შარშანაც ფინალში იყო, მაგრამ იქ სწორედ დიად შვეიცარიელს გადააწყდა და, რა თქმა უნდა, წააგო. მაგრამ წლეულს ბერდიხის გამჩერებელი აღარავინ გამოჩნდა. მართალია, მარკოს ბაღდატისმა ბოლომდე იომა, მაგრამ ჩეხმა მთლიანობაში მაინც ძალიან დამაჯერებლად იმარჯვა.

ბერდიხისთვის ეს პირველი ტიტულია 2005 წლის მიწურულს მოგებული პარიზის მასტერსის შემდეგ, მთელ კარიერაში კი — მესამე.

ქალები
ბარსელონა. ესპანეთი. თიხა. საპრიზო 145 000 $

ფინალი

**მეგან შონესი (8, აშშ) — ედინა გალოვიცი (რუმინეთი) 6:3 6:2**

ქალები
ბირმინგემი. ბრიტანეთი. ბალახი საპრიზო 200 000 $

ფინალი

**ელენა იანკოვიჩი (2, სერბეთი) — მარია შარაპოვა (1, რუსეთი) 4:6 6:3 7:5**

ელენა იანკოვიჩი აღარ ხუმრობს — სერბი უკვე ნებისმიერ საფარზე ძალიან სერიოზულ ძალას წარმოადგენს. ბალკანელმა შარშან ამერიკის ღია პირველობაზე და ათიოდე დღის წინ „როლან გაროსზე" დაამტკიცა, რომ ჰარდსა და თიხნარზე არავის და არაფრის ეშინია. ბირმინგემში კი იანკოვიჩმა ყველას დაანახვა, რომ ბალახზეც მხოლოდ უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებს.

სერბი ბრწყინვალე სტილში გაუმკლავდა ამ საფარის ერთ-ერთ უმთავრეს სპეციალისტად მიჩნეულ მარია შარაპოვას. რუსი პრიმა, რომელიც წლეულს სამი წლის წინანდელის გამეორებასა და უიმბლდონის მოგებაზე დაგეშილი, ახლოს იყო მიზანთან — სეტი ჰქონდა მოგებული და მეორეში ბრეიკიც გააკეთა, მაგრამ იანკოვიჩმა ოთხი გეიმი ზედიზედ მოიგო და ანგარიში გაათანაბრა. მესამე პარტიაში თამაში ისევ მაშას მიჰყავდა, თუმც ბალკანელმა აქაც ბოლომდე იბრძოლა და რუსს თითქმის მოგებული ტიტული ხელიდან გამოჰგლიჯა.

**ბაჩა ლომაშვილი**

## კაცები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 7290 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 5225 |
| 3. ენდი როდიკი (აშშ) | 3055 |
| 4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 3044 |
| 5. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 3010 |
| 6. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 2780 |
| 7. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 2200 |
| 8. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 2085 |
| 9. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2075 |
| 10. ტომი ჰაასი (გერმანია) | 1960 |
| 11. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 1945 |
| 12. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 1900 |
| 13. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 1885 |
| 14. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 1800 |
| 15. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 1725 |
| 16. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 1570 |
| 17. გილერმო კანასი (არგენტინა) | 1522 |
| 18. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 1355 |
| 19. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 1330 |
| 20. ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 1305 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 746 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 601 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 471 |
| 4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 295 |
| 5. ენდი როდიკი (აშშ) | 279 |
| 6. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 278 |
| 7. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 233 |
| 8. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 226 |
| 9. გილერმო კანასი (არგენტინა) | 223 |
| 10. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 219 |
| 11. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 214 |
| 12. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 213 |
| 13. ტომი ჰაასი (გერმანია) | 210 |
| 14-15. ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 197 |
| 14-15. კარლოს მოია (ესპანეთი) | 197 |
| 16. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 189 |
| 17. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 177 |
| 18. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 159 |
| 19. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 158 |
| 20. ხუან მონაკო (არგენტინა) | 151 |

## ქალები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 4419 |
| 2. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3852 |
| 3. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 3185 |
| 4. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 2795 |
| 5. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2790 |
| 6. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 2544 |
| 7. სერენა უილიამსი (აშშ) | 2130 |
| 8. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 2078 |
| 9. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1817 |
| 10. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1773 |
| 11. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1772 |
| 12. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1768 |
| 13. დინარა საფინა (რუსეთი) | 1764 |
| 14. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1749 |
| 15. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1569 |
| 16. შაჰარ პირი (ისრაელი) | 1432 |
| 17. ტატიანა გოლოვინი (ისრაელი) | 1388 |
| 18. ნა ლი (ჩინეთი) | 1333 |
| 19. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 1138 |
| 20. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 1118 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 2750 |
| 2. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 2520 |
| 3. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 1946 |
| 4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 1911 |
| 5. სერენა უილიამსი (აშშ) | 1891 |
| 6. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 1645 |
| 7. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1265 |
| 8. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1258 |
| 9. დინარა საფინა (რუსეთი) | 1211 |
| 10. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1101 |
| 11. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1096 |
| 12. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 1076 |
| 13. შაჰარ პირი (ისრაელი) | 1062 |
| 14. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1023 |
| 15. ნა ლი (ჩინეთი) | 937 |
| 16. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 865 |
| 17. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 839 |
| 18. სიბილ ბამერი (ავსტრალია) | 810 |
| 19. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 806 |
| 20. ლუსი შაფაროვა (ჩეხეთი) | 790 |

# სარეიტინგო ადი-ჩადი

პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციებმა მორიგი კლასიფიკაციები გამოაქვეყნეს და ჩვენთვის სასიხარულო ისაა, რომ ქალთა ახალ რეიტინგში ერთი ქართველით მეტია — სალომე ჩაჩხუნაშვილს რუმინეთში ITF-ის ეგიდით გამართულ ტურნირებზე კარგი თამაში დაუფასდა და იგი ისევ WTA-ს რეიტინგშია, თანაც კარიერის უმაღლეს, 1099-ე ადგილზე.




სხვა მხრივ ქართველი ჩოგბურთელები დაახლოებით ისევ იმ პოზიციებზე არიან, სადაც ერთი კვირის წინ იყვნენ. ცუდი ის გახლავთ, რომ კიდევ შვიდი საფეხურით დაქვეითდა ჩვენი საუკეთესო ჩოგბურთელი ირაკლი ლაბაძე, რომელსაც, დევისის თასზე პორტუგალიელებთან მატჩს თუ არ ჩავთვლით, მაჯის ტრავმის გამო წლეულს არსად უთამაშია. არადა, წინ უიმბლდონია, სადაც შარშან ირაკლიმ ბლომად სარეიტინგო ქულები დააგროვა და, თუ ამ ქულებს ვერ დაიცავს, სადღაც მეორე ათასეულში გადავარდება.

| | | |
|---|---|---|
| **კაცები** | | |
| 223 (-7) | ირაკლი ლაბაძე | 180 |
| 480 (-3) | ლადო ჩიხლაძე | 58 |
| 1338 (-6) | ნოდარ ითონიშვილი | 2 |
| **ქალები** | | |
| 147 (+2) | მაკა ჩახნაშვილი | 215,0 |
| 374 (-5) | ანა ტატიშვილი | 55,75 |
| 554 (-19) | სალომე დევიძე | 26,25 |
| 631 (-3) | სოფო შაფათავა | 20,0 |
| 643 (-1) | სოფო მელიქიშვილი | 19,0 |
| 746 (-1) | მანანა შაფაქიძე | 14,0 |
| 784 (+1) | ოქსანა კალაშნიკოვა | 12,5 |
| 795 (+4) | ეკა გორგოძე | 12,0 |
| 962 (-2) | სოფო ქვაცაბაია | 7,0 |
| 1079 (+5) | თინა ყავლაშვილი | 5,0 |
| 1099 (-) | სალომე ჩაჩხუნაშვილი | 4,75 |
| 1283 (+5) | მარიამ ქურდაძე | 2,75 |
| 1313 (+6) | თეონა ცერცვაძე | 2,5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა






# სერთიფიკატები აქეთ, საჩუქრები იქით

## იტალიელი მედიკოსი ქართველების კითხვებმა გააოცა

14-17 ივნისს თბილისში სპორტული მედიცინის ევროპის რეგიონალური კონფერენცია ჩატარდა. ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და უკრაინელი მედიკოსებისთვის ლექციები ცნობილმა სპეციალისტებმა წაიკითხეს. მათ შორის მსოფლიოს სპორტული მედიცინის (FIMS) გენერალურმა მდივანმა იტალიელმა ფაბიო პიგოციმ და უეფას სამედიცინო კომისიის თურქმა ჩინოსანმა მეჰმეთ ბინეტიმ. ბოლოს კი ჩამოსულებმა სერთიფიკატებიც დაარიგეს. კონფერენციის ერთ-ერთი ორგანიზატორი საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის პრეზიდენტი **ზურაბ კახაბრიშვილი** კი ევროპის გამორჩეულ სპორტულ მედიკოსად აღიარეს. ოთხდღიანი ღონისძიების შესახებ უფრო კონკრეტულად გუშინ თავად კახაბრიშვილმა გვიამბო:

— 2003 წლიდან მოყოლებული, საქართველოში საერთაშორისო კონფერენცია უკვე მეხუთედ ჩატარდა, მაგრამ ასეთი წარმომადგენლობითი აქამდე არასოდეს ყოფილა. სასტუმრო „ამბასადორის" საპრესკონფერენციო დარბაზსა და სამედიცინო ფარმაცევტულ კომპანია „ჯი-პი-სი-ში" სპორტის ყველა სახეობის ნაკრებთა სამედიცინო ჯგუფები შეიკრიბა. საფეხბურთო კლუბების მედიკოსებიც თითქმის უკლებლივ მოვიდნენ და შეიძლება ითქვას, ქართულ სპორტულ მედიცინაში მოტრიალე ყველა სპეციალისტმა მიიღო მონაწილეობა. უცხოელი ექსპერტები კი იტალიიდან, თურქეთიდან, შოტლანდიიდან, უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან ჩამოვიდნენ. თურქი მეჰმეთ ბინეტი თავისი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის სამედიცინო ჯგუფის შეფია და მან სპორტული ტრავმატოლოგიის თანამედროვე პრობლემებზე წაიკითხა ლექცია. ბონეტმა ბოლო ათწლეულის თითქმის ყველა გახმაურებული ტრავმა დაწვრილებით გაარჩია და თითოეულ შეცდომაზე მიუთითა. განსაკუთრებით საინტერესოდ რონალდოს უმძიმეს ტრავმაზე ისაუბრა. ფაბიო პიგოციმ კი სპორტსმენების უეცარი კარდიალური სიკვდილიანობის შესახებ ჩაატარა ლექცია და ამ თემას იმდენი კითხვები და ისეთი სერიოზული დისკუსია მოჰყვა, თავად იტალიელიც გაოცებული დარჩა.

–კონფერენციის დასრულების შემდეგ პიგოციმ მსმენელებს ორ-ორი სერთიფიკატი დაურიგა — საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სპორტული მედიცინისა და ჯანდაცვის სამინისტროს უწყვეტი პრაქტიკული განათლების ქულები. უპრიზოდ არც ექსპერტები დაგვიტოვებია. პიგოცის და ბინეტის საპატიო დიპლომი და საჩუქრები გადავეცით, საქართველოს სპორტული მედიცინის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის. უკვე გადაწყვეტილია, რომ ნოემბერში მორიგ კონფერენციას ჩავატარებთ. ის ძალიან აქტუალურ თემას — ბავშვთა დატვირთვებს, სწორ კვებას, კარდიალურ პრობლემებს და ტრავმიანობას მიეძღვნება და სავარაუდოდ, კიდევ უფრო ფართომასშტაბიანი იქნება.

...ჩავლილი კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ: ფონდი საერთაშორისო ოლიმპიური სოლიდარობა, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტი, საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაცია, კომპანია „ჯიპი-სი" და ფეხბურთის ფედერაცია. მხარში დგომისთვის განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა ჯანდაცვის მინისტრ ლადო ჭიპაშვილს, ოლიმპიური კომიტეტის გენერალურ მდივან ემზარ ზენაიშვილსა და მთლიანად ქართული სპორტის სათავეში მდგომ ადამიანებს.

**ოთარ მაღლაკელიძე**



ემზარ ზენაიშვილი, ზურაბ კახაბრიშვილი, ფაბიო პიგოცი და ვალერი ახალკაცი



# სიენა სერიას თავში

## ბოისამ სამ სლოვენიურს იტალიურიც დაამატა

**ვლადიმერ ბოისა** ჩვენი ნაკრების მეორე ლეგიონერია, რომელმაც ამ სეზონში ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ამას წინათ ესტონეთში გიორგი ცინცაძე გაჩემპიონდა, გუშინწინ კი ღამე „სიენამ" სერია A-ს ფინალური სერიის მესამე მატჩიც მოუგო ბოლონიურ „ვიდივოცის" და მეორედ გახდა იტალიაში საუკეთესო.



სერიის წინა მატჩებისგან განსხვავებით, ეს თამაში გვარიანად დაძაბული გამოდგა. ბოლონიელები თავიდან რომ დაწინაურდნენ, ბოლოსწინა წუთამდე ინარჩუნებდნენ ლიდერობას. დიდებულად ითამაშა ახალგაზრდა იტალიელმა გოლიათმა ანდრეა კროსარიოლმა, რომელმაც თამაშიდან ნატყორცნი 10 ბურთიდან 9 ჩააგდო. მისი ძალისხმევით ბოლონიელებმა 11 ქულით მოიგეს ტაიმი, მაგრამ მასპინძლებმა საბოლოოდ მაინც თავისი გაიტანეს. ფინალური სერიის უძვირფასესმა მოთამაშე რიმანტას კაუკენასმა ბოლოსწინა წუთზე სამქულიანი ჩააგდო, რასაც ზუსტი საჯარიმოც მოაყოლა და სიენელებს ჩემპიონობა გაუნაღდა.

სამწუხაროდ, ამ საჩემპიონო მატჩში არ უთამაშია ვლადიმერ ბოისას და საერთოდ, ის ამ ბოლო თამაშებში ძალიან მცირე ხნით ჩნდებოდა მოედანზე. ამ სამ ფინალურ მატჩში ვოვამ მთლიანობაში 10 წუთი ისე ითამაშა, რომ ქულა არ მოუპოვებია.

ასე კი იყო, მაგრამ ამ წუთას მთავარი ის გახლავთ, რომ ბოისა იტალიის ჩემპიონი გახდა და ჩემპიონობა მისთვის უცხო ხილი არ არის — აქამდე ვოვამ ლუბლიანის „ოლიმპიასთან" ერთად ზედიზედ სამჯერ სლოვენიაში იყო პირველი.

**ირაკლი პერტაია**

# ვიქტორი გამარჯვებულებთან მიდის

## წმინდა ანტონიო, მიიღე და შეიფარე!

**მას შემდეგ, რაც ნიკა ცქიტიშვილი ნბა-დან წამოვიდა, მსოფლიოს უძლიერეს საკალათბურთო ლიგაში ერთადერთი ჩვენიანი დარჩა — ზაზა ფაჩულია. თუმცა შესაძლებელია, სტატუს-კვო აღდგეს. ესპანურ „ესტუდიანტესში" მოთამაშე ვიქტორ სანიკიძე, რომელზეც უფლებებს მისი დრაფტზე ამრჩევი „სან ანტონიო" ფლობს, ნბა-ს ახლახან გაჩემპიონებულმა გუნდმა გასასინჯად მიიწვია. „ვიკა" შარშანაც იყო სან ანტონიოში, იქ რამდენიმე თვე გაატარა, მაგრამ მუხლები აწუხებდა და ამერიკელებმა ურჩიეს, ჯერ ევროპაში მოლონიერებულიყო. სანიკიძემ გასული სეზონი ევროპის უმძლავრეს, ესპანურ ლიგაში გაატარა, მაგრამ საკუთარი შესაძლებლობები იმავ მტკივანი მუხლების გამო ვერ წარმოაჩინა. 3 თვის წინ მან მენისკის ოპერაცია გაიკეთა და ახლა თავს კარგად გრძნობს. ამერიკელებმაც მას მორიგი შანსი უბოძეს...**




— ამერიკაში ივლისის დასაწყისში მივდივარ. 6-დან 15 ივლისამდე ლას ვეგასში საზაფხულო ლიგა გაიმართება, სადაც მე „სან ანტონიოს" შემადგენლობაში ვითამაშებ.

**— როდის გაიგე, რომ სანანტონიოელებმა გამოგიძახეს?**

— სეზონი დამთავრდა თუ არა, ჩემმა მენეჯერმა რიდ სალივანმა მკითხა, „სან ანტონიომ" საზაფხულო ლიგაზე მიგიწვია და ხომ შეძლებ ჩასვლასო. ამერიკელებს აინტერესებდათ, ემთხვეოდა თუ არა ნაკრების თამაშები და შეკრება ლას ვეგასის კემპს. საქართველოს ეროვნული გუნდის ლეგიონერები 18 ივლისს იკრიბებიან, მე კი იმ დროისთვის უკვე ჩამოსული ვიქნები ამერიკიდან.

**— რა შემადგენლობა მოიყრის თავს „სან ანტონიოში" ლას ვეგასის ლიგაზე?**

— ისინი, ვისაც დრაფტზე აირჩევენ და ისინიც, ვინც აქამდე ჰყავთ არჩეული. აი, ჩემნაირი მოთამაშეები, რომლებზეც „სან ანტონიო" უფლებებს ფლობს. იქ ასევე იქნებიან თავისუფალი აგენტები, რომლებიც შეეცდებიან, გუნდის ხელმძღვანელობას თავი მოაწონონ და კონტრაქტი დაიმსახურონ.

**— მაგრამ, შენ ხომ თავისუფალი აგენტი არ ხარ?**

— მერე რა, რომ „ესტუდიანტესთან" კონტრაქტი მაკავშირებს. ახლა თავისუფალი ვარ. სანამ სექტემბერში გუნდში არ მივალ, მანამდე სადაც მინდა, იქ წავალ. თუ გამიმართლა და „სან ანტონიომ" ჩემი დატოვება ისურვა, „ესტუდიანტესი" არაფერს არ წააგებს. პირიქით, ამერიკელები კონტრაქტის სოლიდურ გამოსასყიდს გადაუხდიან ესპანელებს. თუმც ამაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა. ჩავალ ლას ვეგასში და ვნახოთ, რა როგორ იქნება.

**— ლას ვეგასის ლიგაზე უნდოდა წასვლა ნიკა ცქიტიშვილსაც...**

— არ ვიცი, რას აპირებს. ერთი კი თქვა, მეც მოვდივარო, მაგრამ არ ვიცი, ნამდვილად ჩამოვა თუ არა.

**— როგორ ფიქრობ, ამერიკაში დარჩენის შანსი გაქვს?**

— ახლა თავს კარგად ვგრძნობ. როგორც იქნა მუხლი მოვირჩინე. ოპერაციის შემდეგ სარეაბილიტაციო პერიოდმა კარგად ჩაიარა და სრული დატვირთვით ვვარჯიშობ. ახლა დროებით ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად ვემზადები, რომ ფორმაში შევიდე. არ ვიცი, რა როგორ იქნება. ჩავალ და რაც შემეძლება, გავაკეთებ, დანარჩენი კი სანანტონიოელების გადასაწყვეტია.

**ირაკლი პერტაია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

# ხაბარელმა მინსკი ჩაქვიდან დაინახა

## კაცნაკლულმა ქართველებმა იტალიას ბრინჯაო წაართვეს



**ქართველმა** ძიუდოისტებმა სასექტემბრო მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადება აღდგენითი შეკრებით დაიწყეს. ნაკრების თავკაცმა შოთა ხაბარელმა გადატვირთული საგაზაფხულო კალენდრის შემდეგ შეგირდებს ცოტა დასვენების საშუალება მისცა და ჩაქვი მოატარა. ზღვისპირეთში ეროვნული გუნდის თვრამეტმა კანდიდატმა ორი კვირის განმავლობაში მხოლოდ მსუბუქად ივარჯიშა. მთავარი დატვირთვები კი ივლისიდან დაიწყება. ხაბარელის გუნდი 1-7 ივლისს მინსკში დაგეგმილ გრანდიოზულ ერთობლივ წვრთნებში მიიღებს მონაწილეობას. წინასწარი ინფორმაციით, ბელარუსის მთავარქალაქში ჩასვლას ორმოცდაათამდე ქვეყნის ნაკრები აპირებს.

ჩაქვიდან დაბრუნებულმა შოთა ხაბარელმა გუშინ პირველად გვაცნობა, რომ მინსკშიც გაფართოებული, თვრამეტკაციანი შემადგენლობის ჩაყვანას გეგმავს და ზღვაზე დასვენებულ გუნდში მხოლოდ ერთი-ორი ცვლილება მოხდება.

სანამ ნაკრების წევრ-კანდიდატები აღდგენით შეკრებაზე იყვნენ, ხუთმა ძიუდოსიტმა იტალია მოიარა და ქართული ძიუდოს სეზონურ ყულაბას ერთი ბრინჯაოს მედალიც შემატა. იტალიის ქალაქმა ვენტიმილიამ გუნდურ ტურნირს უმასპინძლა და საქართველოს ძიუდოს ფედერაციამ იქ გუნდის გაშვება მხოლოდ მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ორგანიზატორებმა ინდივიდუალური მოწვევა გამოაგზავნეს.

იტალიური ამბები ფედერაციის აღმასრულებელმა მდივანმა *ზურაბ უსუფაშვილმა* გვიამბო:

— ტურნირზე 10 ქვეყნის ნაკრები გამოვიდა. ტრადიციული შვიდი წონითი კატეგორია ექვსამდე შეამცირეს, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ხუთი მონაწილე გვყავდა და ყველა შეხვედრის 0:1-დან დაწყება გვიწევდა. 60 კილოგრამი თავისუფალი გვქონდა. 66-ში ვახტანგ ხოსიტაშვილმა იჭიდავა, 73-ში — დავით ბოდაველმა, 81-ში — ლევან წიკლაურმა, 90-ში — სოსო მსხალაძემ, ხოლო მძიმეში — ნოდარ მეტრეველმა. სამი ქვეჯგუფიდან პირველადგილოსნები და ერთი საუკეთესო მეორეადგილოსანი ნახევარფინალში გავიდნენ. ჯგუფური ეტაპი საქართველომ, იტალიამ და ჰოლანდიამ მოიგეს. მეორეებიდან კი ყველას ჰოლანდიას ჩამორჩენილმა რუმინეთმა აჯობა. ფინალის საგზურისთვის ბრძოლაში ჩვენებმა 2:3 დათმეს ჰოლანდიასთან, მერე კი ჯავრი მასპინძლებზე იყარეს. ჩემპიონები კარპატელები გახდნენ. ვენტიმილიაში ნაკრების თავკაცობა საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა ვლადიმერ ნუცუბიძემ გასწია.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ჭიდაობა

# ადეიშვილი ევროპას უყურებს და მსოფლიოზე ფიქრობს



**ბერძნულ-რომაული** სტილის ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა ვლადიმერ ადეიშვილმა ევროპის ჩემპიონატზე წამსვლელი შემადგენლობა დაასახელა. 21-წლამდელმა კლასიკოსებმა ნაძალადევში მდებარე „მართვეს“ დარბაზში დასკვნითი შეკრება გასულ კვირაში დაიწყეს. ცხრა დღეც და ისინი სერბეთში გაფრინდებიან. ბელგრადულ ხალიჩაზე კი 30 ივნისსა და 1 ივლისს გავლენ.

„რვა საუკეთესო ეგებ აქამდეც გარკვეულიყო, რომ არა ხელის შემშლელი ფაქტორები — გვითხრა გუშინ ადეიშვილმა — ძირითადი საფიქრალი 74 და 96 კილოგრამი წონითი კატეგორიების მთავარი კანდიდატების ტრავმები იყო. ბექა როყვასა და გენადი ხელიას გამოჯანმრთელების იმედი ბოლო შეკრებამდე გვქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, არ მოესწრო. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ მათი შემცვლელების იმედი არ უნდა გვქონდეს. წინ ორი უდიდესი ტურნირი გველოდება — ევროპის ჩემპიონატს მსოფლიო მოჰყვება“.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ შარშანდელ ევროპირველობაზე ადეიშვილის გუნდმა თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მესამე საპრიზოზე მაშინ 50 კილოგრამში მოჭიდავე ლაშა გოგიტაძე გავიდა. ბელგრადში იგი ერთი წონით მაღლა იჭიდავებს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

**საქართველოს ნაკრები**

| | |
|---|---|
| 50კგ | ზურაბ მაჭარაშვილი |
| 55კგ | ლაშა გოგიტაძე |
| 60კგ | ლაშა ლოლაშვილი |
| 66კგ | გური კვერღელიძე |
| 74კგ | გიორგი ჭუმბაშვილი |
| 84კგ | სერგო ნინუა |
| 96კგ | სოსო ჯაბიძე |
| 120კგ | დიმიტრი ჯავახიშვილი |

ჰოკეი

# პრემიერ-ამბავი

## კანადელებმა და რუსებმა 1972 წელი გაიხსენეს

1972 წლის სექტემბერში ჰოკეის ისტორიაში ახალი, განუმეორებელი ფურცელი ჩაიწერა და სპორტის ამ სახეობამ სრულიად სხვა მიმართულებით აიღო გეზი.

მანამდე იყო ჩრდილოამერიკული, უფრო სწორად კანადური, NHL-ური ჰოკეი და ამის პარალელურად არსებობდა ევროპული ჰოკეი თავისი მსოფლიოს ჩემპიონატებით, რომლის, თითქმის უცვლელი ჩემპიონები საბჭოთა ჰოკეისტები იყვნენ.

პარალელური გზები, სწორედ ამ 35 წლის წინათ გადაიკვეთა, როდესაც ჩატარდა უნიკალური სუპერსერია NHL-ისა და საბჭოთა კავშირის ნაკრებებს შორის.

რვამატჩიანი დუელი, საბოლოო ჯამში ყინულის ჰოკეის გამომგონებლების, ანუ კანადელების გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ საამისოდ, NHL-ის მაშინდელ სუპერვარსკვლავებს ბობი ორისა და ფილ ესპოზიტოს თავკაცობით, არნახული ოფლისღვრა დასჭირდათ. სერიის პირველი ოთხი შეხვედრა კანადაში ჩატარდა და ამათგან პირველი, მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლები დებიუტშივე დაწინაურდნენ, საბჭოთა ნაკრებმა 7:2 მოიგო. და, მთლიანადაც, სერიის კანადური ნაწილი საბჭოელებმა თავიანთ სასარგებლოდ დაასრულეს — ორი მოგება, ერთი ფრე და ერთი წაგება.

მერე სერია მოსკოვში გაგრძელდა და მასპინძლებმა პირველივე თამაში მოიგეს. კანადელებისთვის ეს, უკვე კატასტროფის ტოლფასი იყო. მათ საბოლოო გამარჯვებისთვის სამივე დარჩენილი მატჩის მოგება სჭირდებოდათ და წარმოუდგენელი ძალისხმევის ფასად მიაღწიეს კიდეც საწადელს.

ორი წლის შემდეგ, 1974 წელს სხვა სერია იყო — საბჭოთა კავშირის ნაკრებს, უკვე NHL-ის პარალელურად არსებული ლიგის, WHA-ს ნაკრები დაუპირისპირდა, რომლის რიგებშიც 45 წლის გორდი ჰოუ და ბობი ჰალი თამაშობდნენ. ის სერია, უკვე საბჭოელებმა მოიგეს და მერე, ამ, სანაკრებო მატჩებს, უკვე საკლუბო ამბები მოჰყვა თან — საბჭოური გუნდები კანადა-ამერიკას სტუმრობდნენ ხოლმე და იქაურ გრანდებს ეტოქებოდნენ. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი 1976 წლის 1 ივნისის თამაში იყო „მონრეალ კანადიენსსა“ და ცსკა-ს შორის, რომელიც, მასპინძლების უდიდესი უპირატესობის მიუხედავად, ფრედ — 3:3 დასრულდა.

მერე სხვა დრო დადგა. პარალელური გზები ერთმანეთში აითქვიფა — საუკეთესო ევროპელი ჰოკეისტები ჩრდილოეთ ამერიკაში მასობრივად წავიდნენ და ასეთი, კონკრეტული, პრინციპული სერიების საჭიროება მოისპო, მით უმეტეს, რომ NHL-ის პროფესიონალებს მსოფლიოს ჩემპიონატებისა და ოლიმპიური თამაშების კარებიც გაუღეს და ადრე კანადის, მოგვიანებით კი მსოფლიოს თასად წოდებული შეჯიბრიც სისტემატურად ტარდებოდა.

მთელი ეს ამხელა შესავალი კი იმისთვის დაგვჭირდა, რომ ახლო მომავალში, შეიძლება აღდგეს ძველი ტრადიცია და 1972 წლის სერიის 35 წლის აღსანიშნავად ჩატარდეს ახალი, ისევ რვამატჩიანი სერია კანადისა და, ამჯერად უკვე რუსეთის ნაკრებებს შორის.

ეს იდეა კანადისა და რუსეთის პრემიერმინისტრების დონეზე მომწიფდა და, როგორც ჩანს, პრაქტიკულადაც განხორციელდება. ყოველ შემთხვევაში, როგორც რუსული საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, ორი ქვეყნის მთავრობის მეთაურებს — სტივენ ჰარპერსა და მიხაილ ფრადკოვს შორის ამ თემაზე სერიოზული მიწერ-მოწერაა და ორივე მხარე მოუთმენლად ელის მოლაპარაკებების დაწყებას.

ერთი კია — კანადელებმა და რუსებმა თავიანთი ამბავი თვითონ იციან, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ დიდი ჰოკეის ბედი ატლანტიკის აქეთ, უკვე კარგა ხანია, მოსკოვში აღარ წყდება. სხვა თუ არაფერი, მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, რუსეთის ნაკრებმა ერთხელაც ველარ მოახერხა ოლიმპიური ოქროს მოგება და მსოფლიოს ჩემპიონატებსაც, კარგა ხანია, შვედეთის, ფინეთის, ჩეხეთისა თუ სლოვაკეთის გუნდებზე დაბლა ასრულებს. ამ გაზაფხულზე რუსებმა, სულაც მშობლიურ ყინულზე, პრაქტიკულად საუკეთესო შემადგენლობით დათმეს პირველობა და რუსებს რომ თავი დავანებოთ, კანადელებმაც უნდა გაიხსენონ, რომ ბოლო სამი ოლიმპიადიდან მხოლოდ ერთი მოიგეს და ეს სამი ოლიმპიური თამაშები იმიტომ ვახსენეთ, რომ მათზე ჰოკეის მთელი ელიტა იყო წარმოდგენილი.

ასე რომ, თუ სერიის ჩატარება და წარსულის გახსენება უნდათ, ჩაატარონ და გაიხსენონ, მაგრამ ისიც უნდა ახსოვდეთ, რომ 1972 წლის შემდეგ 35 წელი გავიდა და ახლა მუსიკას სხვებიც უკვეთავენ ხოლმე



1972 წლის სექტემბერი: ფილ ესპოზიტო ვლადისლავ ტრეტიაკის წინააღმდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძლეოსნობა

# ზატოპეკის ნაკვალევზე

## ჰაილემ პრაღაში საათი დათქვა




**დიადი** ეთიოპიელი ჰაილე გებრისილასიე ჯერაც მოქმედი სპორტსმენია და უკვე კარგა ხანია, ლეგენდარულად მოიხსენიება. 5 და 10 კილომეტრზე სტადიონზე სირბილში ყველაფრის მომგებმა და ყველაფრის რეკორდსმენმა ჰაილემ ბოლო წლებში უფრო გრძელ, მარათონულ დისტანციებზე გადაინაცვლა და თავისი სიტყვა იქაც თქვა. შარშან, სულაც სეზონის საუკეთესო შედეგი აჩვენა კლასიკურ მარათონში, ანუ 42 კილომეტრსა და 195 მეტრზე სირბილში. გებრსილასიე მარათონში მსოფლიოს რეკორდსაც გეგმავს, თუმც მანამდე იგივეს გაკეთება ერთსაათიან სირბილში განუზრახავს.

ეთიოპიელმა საამისოდ დრო და ადგილიც დათქვა — 27 ივნისს ჩეხეთის ქალაქ ოსტრავაში 46-ედ ჩატარდება Golden Spike-დ წოდებული საერთაშორისო ტურნირი და შეჯიბის ორგანიზატორებმა სპეციალურად ჰაილესთვის, ტურნირის პროგრამაში ერთსაათიანი სირბილი შეიტანეს.

ამ, არატრადიციულ სახეობაში მსოფლიოს რეკორდი მექსიკელ არტურო ბარიოსს ეკუთვნის და 21 კილომეტრსა და 101 მეტრს შეადგენს. ბარიოსის საკუთრებაა მსოფლიოს რეკორდი 20 კილომეტრზე სირბილშიც (56 წთ 55,6 წმ), რომელიც სწორედ 60-წუთიანი სირბილისას ალინუსხება.

ამ ხუთი წლის წინ, ანუ 2002 წელს გებრსილასიემ ერთხელ უკვე სცადა მექსიკელის რეკორდების დამხობა, მაგრამ ფეხის კუნთების კრუნჩხვის გამო სირბილი 39-ე წუთზე მიატოვა.

„უზომოდ ბედნიერი ვარ, ასეთი შანსი რომ მომეცა და ამიტომ უდიდეს მადლობას ვუხდი ოსტრავის შეჯიბრის ორგანიზატორებს, სპეციალურად ჩემთვის რომ შეადგინეს ტურნირის პროგრამა — განაცხადა ორგზის ოლიმპიურმა და ოთხგზის მსოფლიოს ჩემპიონმა და დაამატა — ჩემთვის უდიდესი პატივია, შევეცადო მსოფლიოს რეკორდის დამყარება ჩეხეთში, ქვეყანაში, რომლის დიდმა შვილმა, ლეგენდარულმა მძლეოსანმა ემილ ზატოპეკმა 1951 წელს ისტორიაში პირველმა შეძლო ერთ საათში 20 კილომეტრზე მეტის გარბენა“.

ცურვა




# კატიამ უხნესი დაამხო

**ამერიკის** შეერთებულ შტატებში, კალიფორნიის ქალაქ მისიონ ვეხოში გამართულ შეჯიბრზე დაემხო მოცურავეთა უხნესი რეკორდი, რომელსაც გაისად 20 წელი შეუსრულდებოდა.

ამერიკელმა მსოფლიოს ჩემპიონმა ქალმა 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში კატია ზიგლერმა კილომეტრნახევრიანი დისტანცია 15 წუთსა და 42,54 წამში დაფარა, რაც თითქმის 10 წამით სჯობს მეორე ამერიკელის, ლეგენდარული ჯანეტ ევანსის ძველ რეკორდს (15:52,10), რომელიც 1988 წელს ორლანდოში იყო დამყარებული.

ევანსი გახლდათ პირველი ქალი, რომელმაც 1500 მეტრი 16 წუთზე ნაკლებ დროში გაცურა და მისი რეკორდები 400, 800 და 1500 მეტრზე თავისუფალი ცურვაში კარგა ხანს იყო მიუწვდომელი.

400-მეტრიანი რეკორდი ჯანეტს შარშან მაისში ჩამოართვა ცურვის ფრანგმა პრიმამ ლორე მანადუმ და აი, ახლა 1500 მეტრის ჯერიც დადგა. ზიგლერმა ჯერ კიდევ მარტში, ავსტრალიაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე შეუტია თანამემამულის მიღწევას, მაგრამ ერთი წამი დააკლდა — 15 წუთი და 53,05 წამი აჩვენა. და აი, კატიამ, რომელმაც მისიონ ვეხოში 1500 მეტრის გარდა 200, 400 და 800 მეტრზე თავისუფალ ცურვაშიც იპირველა, მაინც მიაღწია თავისას და უძველესი მსოფლიოს რეკორდი დაამხო.

ჯანეტ ევანსს ერთი რეკორდი მაინც დარჩა — 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში და ამ წუთისთვის, სწორედ ეს რეკორდია უხნესი — ჯანეტმა ის 1989 წლის 20 აგვისტოს ტოკიოში დაამყარა.

კრივი

# ტრამპლინიდან რინგი გამოჩნდა

**სამოყვარულო** კრივის მსოფლიო ფედერაცია (AIBA) მსაჯობის ელექტრონული სისტემის რეფორმირებას იწყებს, რომელიც პირველ სერიოზულ გამოცდას წლეულს ჩიკაგოში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე გაივლის. თუ ეს ახალი სისტემა ეროვნული ფედერაციების წარმომადგენლებს მოეწონებათ, მაშინ მას პეკინის ოლიმპიადაზეც გამოიყენებენ.

ახლა კი უშუალოდ ცვლილებებზე — დღესდღეობით არსებული ელექტრონული სისტემით მოკრივეს ქულა ენიჭება მხოლოდ მაშინ, როცა ხუთიდან მინიმუმ სამი მსაჯი ერთდროულად დააჭერს ღილაკს ხელს. დაგეგმილი ცვლილებები კი ელექტრონული სისტემის მთლიანად გაუქმებას ითვალისწინებს. ახალი წესებით, ყველა მსაჯი დამოუკიდებლად შეაფასებს მოკრივეებს. ხუთი მონაცემიდან უგულებელყოფენ იმ შეფასებებს, სადაც დარტყმების ანგარიშში ყველა მცირე და მეტი სხვაობები იქნება.

შეფასების ასეთი სისტემა ტრამპლინიდან მხტომელთა შორის გამოიყენება და AIBA-ში სჯერათ, რომ ის კრივშიც გაამართლებს.

# რაჰმანი დაბრუნდა



**ოლეგ მასკაევთან** დამარცხებისა და WBA-ს ტიტულის დაკარგვის შემდეგ ჰასიმ რაჰმანი პირველად გავიდა რინგზე. ამერიკელს დიდი მიზნები აქვს და უახლოეს პერიოდში რომელიმე ქამრისთვის ბრძოლასაც გეგმავს. თუმც, სანამ რომელიმე ტიტულს წაეპოტინება, სავარაუდოდ კიდევ ერთი ბრძოლის ჩატარება მოუწევს.

ამჯერად კი რაჰმანი თანამემამულე ტაირუს საიკს გაუსწორდა, თუმც საამისოდ ბოლომდე წვალება დასჭირდა და მხოლოდ მსაჯების გადაწყვეტილებით იმარჯვა.

# ბრმა მუშტი თურქისთვის

**ამ უქმეებზე** კრივის სამყაროში რამდენიმე საინტერესო ბრძოლა გაიმართა. ანკარაში დატრიალებული ამბებით დავიწყოთ — რუსი მძიმეწონოსანი ანდრეი ბახტოვი კუბიდან გაქცეულ და აშშ-ს თავშეფარებულ ხუან-კარლოს გომესს შეხვდა და უსასტიკესადაც გაილახა. რუსი რაღაც სასწაულით გადაურჩა ნოკაუტს, რადგანაც ყველა რაუნდში დამარცხდა და ბრძოლის ბოლოს ხორცის ფარშს უფრო ჰგავდა.

ამის შემდეგ ანკარას რინგზე სინანა სამილა სამი გავიდა. მართალია, ეს თურქი გერმანიის სახელით გამოდის, მაგრამ ადგილობრივები მაინც მხურვალედ უჭერდნენ მხარს. სამი ლამის მკვდრეთით აღმდგარ ოლივერ მაკოლს დაეტაკა. ეს ამერიკელი პროფესიული კრივის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კურიოზია. თავის დროზე მას დიდ კარიერას უწინასწარმეტყველებდნენ და ამერიკელმა ეს საქმითაც დაამტკიცა, როცა 1994 წელს თვით ლენოქს ლუისი დაანოკაუტა. თუმც შემდეგ ნარკოტიკების ზემოქმედებით ლამის შეურაცხადი გახდა. იმავე ლუისთან 1997 წელს მატჩ-რევანშის შემდეგ ის სულაც ყველას საქილიკო ობიექტად იქცა, როცა ახალფეხადგმული ჩვილივით რინგზე ბაჯბაჯი და ტირილი დაიწყო.

მაკოლი ფსიქოლოგებისა და ნარკოლოგების დახმარებით კი შეეშვა თავის მავნე ჩვევას, მაგრამ სრულ ჭკუაზე ახლაც ვერ უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, ამერიკელმა სამი მთლად დააბნია, როცა მეტოქის დარტყმების შემდეგ კუნთების დემონსტრირებას იწყებდა, საკუთარი შეტევების დროს კი თვალებს ხუჭავდა და არც უყურებდა, თუ სად ხვდებოდა მისი მუშტი თურქს.

მოკლედ, სამმა თავიდან კარგად კი დაიწყო, მაგრამ შემდეგ ერთი თვალი გაუსივდა და ხეირიანად ველარ იჩხუბა — შედეგად გამარჯვება მაკოლს დარჩა.

**ბაჩა ლომჯავილი**

ფრენბურთი

# მსოფლიო ლიგა. კაცები ჯგუფური ეტაპი
## მე-7 და მე-8 ტურები

**A ჯგუფი**

ბრაზილია 3:0 კანადა
*25:21 25:20 25:13*
ბრაზილია 3:1 კანადა
*25:14 20:25 25:22 25:18*
ფინეთი 3:1 კორეა
*25:22 26:24 22:25 25:18*
ფინეთი 3:1 კორეა
22:25 25:19 25:22 25:17
ბრაზილია 16 ქულა; ფინეთი 13; კორეა 10; კანადა 9

**B ჯგუფი**

აშშ 3:1 იტალია
*25:21 25:21 25:27 29:27*
აშშ 3:0 იტალია
*25:19 30:28 25:23*
საფრანგეთი 3:0 იაპონია
*25:19 25:22 25:20*
საფრანგეთი 3:2 იაპონია
*25:13 25:19 22:25 20:25 15:12*
აშშ 14 ქულა; საფრანგეთი 13; იტალია 8; იაპონია 7

**C ჯგუფი**

რუსეთი 3:0 ეგვიპტე
*25:19 25:8 25:15*
რუსეთი 3:1 ეგვიპტე
*24:26 26:24 25:17 25:22*
სერბეთი 3:2 კუბა
*15:25 18:25 25:19 27:25 15:16*
სერბეთი 0:3 კუბა
*18:25 16:25 16:25*
რუსეთი 15 ქულა; კუბა 13; სერბეთი 12; ეგვიპტე 8

**D ჯგუფი**

არგენტინა 1:3 პოლონეთი
*29:31 12:25 25:17 18:25*
არგენტინა 0:3 პოლონეთი
*21:25 23:25 17:25*
ჩინეთი 0:3 ბულგარეთი
*23:25 24:26 18:25*
ჩინეთი 0:3 ბულგარეთი
*22:25 24:26 27:29*
ბულგარეთი 16 ქულა; პოლონეთი 15; ჩინეთი, არგენტინა 8-8

**შენიშვნა:** B ჯგუფში იტალიასა და იაპონიას 6-6 მატჩი აქვთ ჩატარებული. მოგებაზე იწერება 2, ხოლო წაგებაზე 1 ქულა



კრისტოფ მორომ გამარჯვება მეუღლესთან და ახალშეძენილ მარგოსთან ერთად აღნიშნა

# მოროს მეორე და ასტანას ოთხი

**პარასკევს,** შაბათსა და კვირას რიგით 59-ე „კრიტერიუმ დოფინი ლიბერეს“ სამი დასკვნითი ეტაპი მიყოლებით მოიგეს ყაზახური „ასტანას“ მრბოლებმა — ესპანელმა ანტონიო კოლომმა და ყაზახებმა — მაქსიმ იგლინსკიმ და ალექსანდრ ვინოკუროვმა, მაგრამ ლიდერის ყვითელი მაისურა მათ თანაგუნდელ ანდრეი კაშეჩკინს AG2R-ის ვეტერანმა ფრანგმა კრისტოფ მორომ წაართვა.

პარასკევს 195-ე კილომეტრიან ეტაპზე „ასტანას“ ლიდერმა ვინოკუროვმა აიყოლია კოლომი და შთამბეჭდავი გაქცევა მოაწყო, რომელიც წარმატებით დაგვირგვინდა — „ასტანელებმა“ წყვილად უწიეს ფინიშს და „ვინომ“ თანაგუნდელს პირველობა დაუთმო და თანაც, კაშეჩკინმაც შეინარჩუნა ყვითელი მაისურა.

ვინოკუროვი მართლაც ბრწყინვალე ფორმაშია და ეს ბოლო, 129-ე კილომეტრიან ეტაპზეც დაამტკიცა, როდესაც ბოლოსკენ გაექცა მოწინავე ჯგუფს და წლევანდელ „დოფინი ლიბერეზე“ მეორე ეტაპი მოიგო. „ვინო“ ტყუილად არ ითვლება მოახლოებული „ტურ დე ფრანსის“ უმთავრეს ფავორიტად. მით უმეტეს, რომ „ტურზე“ მის უმთავრეს სავარაუდო კონკურენტად მიჩნეულმა ესპანელმა ალეხანდრო ვალვერდემ „დოფინი ლიბერე“ აშკარად ჩააგდო და ძნელი სათქმელია, ეს ტაქტიკური მოსაზრებით გააკეთა თუ უბრალოდ, ჯანზე ვერ არის.

თანაც, მთელი „ასტანა“ უაღრესად მძლავრ შთაბეჭდილებას ტოვებს. ყაზახური ველოგუნდის წევრებმა შვიდიდან ოთხი ეტაპი მოიგეს და ნუ დაგვავიწყდება, რომ „დოფინი ლიბერეზე“ არ ურბოლიათ ანდრეას კლოდენს, პაოლო სავოლდელისა და ედი მაცოლენის. ამათი დამატებით „ასტანა“ მართლაც მრისხანე ძალა გახდება, რაც ვინოკუროვის სატურდეფრანსე შანსებს კიდევ უფრო ზრდის.

თუმცა, შაბათის 198-კილომეტრიან ურთულეს რბოლაში ყაზახურ გუნდის დაზეთილ მექანიზმშიც რაღაც აირია — იგლინსკიმ ადრევე მიატოვა „დოფინი ლიბერეზე“ გუნდის ფავორიტად მიჩნეული კაშეჩკინი, „ვინომაც“ აღარ მოიკლა თავი და ისე გამოვიდა, რომ ბოლო აღმართში კაშეჩკინი დამხმარეს გარეშე დარჩა. ამით მშვენივრად ისარგებლა მორომ, მძლავრად შეუტია, ყაზახს თითქმის ორი წუთი მოუგო და გენერალური კლასიფიკაციის ლიდერობაც დაიბრუნა. კაშეჩკინი ფრანგს საერთო ჩათვლაში წუთით და 27 წამით ჩამორჩა და მოროს ერთადერთ კონკურენტად ავსტრალიელი კედალ ევანსი დარჩა 19-წამიანი ჩამორჩენით.

და მაინც, მოროსნაირი გამოცდილი მრბოლისთვის ბოლო ეტაპზე 14-წამიანი უპირატესობის შენარჩუნება ტექნიკის საქმეა იყო და AG2R-ის ლიდერმა ამ საქმეს უპრობლემოდ გაართვა თავი.

36 წლის მორომ ექვსწლიანი შესვენების შემდეგ მეორედ მოიგო „კრიტერიუმ დოფინი ლიბერე“. ფრანგი, მასზე სამი წლით უმცროსი ვინოკუროვას არ იყოს, „ტურ დე ფრანსის“ წინ მშვენიერ ფორმაშია. ერთი ეგაა — შეძლებს კი, ამ ასაკში სამკვირიანი „ტურის“ ურთულესი გზის ბოლომდე წარმატებით გავლას. თუ შეძლებს, მაშინ, იქნებ ფრანგებსაც ეღირსოთ და 1985 წლის შემდეგ პირველად გაიხარონ მშობლიურ სუპერრბოლაში თავიანთი თანამემამულის გამარჯვებით.

**59-ე კრიტერიუმ დოფინი ლიბერე. საფრანგეთი. 10-17 ივნისი**

**საბოლოო მდგომარეობა**

| | |
|---|---|
| 1. კრისტოფ მორო (საფრანგეთი, AG2R) | 26სთ 54წთ 25წმ |
| 2. კედალ ევანსი (ავსტრალია, CSC) | +14წმ |
| 3. ანდრეი კაშეჩკინი (ყაზახეთი, „ასტანა“) | +1წთ 27წმ |
| 4. დენის მენშოვი (რუსეთი, „რაბობანკი“) | +1წთ 52წმ |
| 5. დევიდ ზაბრისკი (აშშ, CSC) | +2წთ 16წმ |

**კრიტერიუმ დოფინი ლიბერეს გამარჯვებულები 1980 წლიდან**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1980 | იოჰან ვან დერ ველდე (ჰოლანდია) | 1994 | ლორენ დაფო (შვეიცარია) |
| 1981 | ბერნარ ინო (საფრანგეთი) | 1995 | მიგელ ინდურაინი (ესპანეთი) |
| 1982 | მიშელ ლორენი (საფრანგეთი) | 1996 | მიგელ ინდურაინი (ესპანეთი) |
| 1983 | გრეგ ლემონდი (აშშ) | 1997 | უდო ბოლტცი (გერმანია) |
| 1984 | მარტინ რამირესი (კოლუმბია) | 1998 | არმან დე ლას კუევასი (საფრანგეთი) |
| 1985 | ფილ ანდერსონი (ავსტრალია) | 1999 | ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი) |
| 1986 | ურს ციმერმანი (შვეიცარია | 2000 | ტაილერ ჰამილტონი (აშშ) |
| 1987 | შარლ მოტე (საფრანგეთი) | 2001 | კრისტოფ მორო (საფრანგეთი) |
| 1988 | ლუის ერერა (კოლუმბია) | 2002 | ლენს არმსტრონგი (აშშ) |
| 1989 | შარლ მოტე (საფრანგეთი) | 2003 | ლენს არმსტრონგი (აშშ) |
| 1990 | რობერტ მილარი (ბრიტანეთი) | 2004 | იბან მაიო (ესპანეთი) |
| 1991 | ლუის ერერა (კოლუმბია) | 2005 | ინიგო ლანდალუსი (ესპანეთი) |
| 1992 | შარლ მოტე (საფრანგეთი) | 2006 | ლევი ლეიფჰემერი (აშშ) |
| 1993 | ლორენ დაფო (შვეიცარია) | 2007 | კრისტოფ მორო (საფრანგეთი) |

**დოფინი ლიბერეს და ტურ დე ფრანსის წყვილად მომგებნი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1955 | ლუსიენ ბობე (საფრანგეთი) | 1979 | ბერნარ ინო (საფრანგეთი) |
| 1963 | ჟაკ ანკეტილი (საფრანგეთი) | 1981 | ბერნარ ინო (საფრანგეთი) |
| 1971 | ედი მერქსი (ბელგია) | 1995 | მიგელ ინდურაინი (ესპანეთი) |
| 1973 | ლუის ოკანა (ესპანეთი) | 2002 | ლენს არმსტრონგი (აშშ) |
| 1975 | ბერნარ ტევენე (საფრანგეთი) | 2003 | ლენს არმსტრონგი (აშშ) |

# შვეიცარიული პროლოგი

**ინდივიდუალურ** რბოლაში მსოფლიოს ჩემპიონის, დანიური CSC-ის შვეიცარიელი ველოსიპედისტის ფაბიენ კანსელარას გამარჯვებით დასრულდა რიგით 71-ე „შვეიცარიის“ ტურის 3,8-კილომეტრიანი პროლოგი.



ფაბიენ კანსელარა

„შვეიცარიის“ ტური „კრიტერიუმ დოფინი ლიბერესთან“ ერთად სეზონის უმთავრესი სუპერრბოლის, „ტურ დე ფრანსის“ გენერალურ რეპეტიციად ითვლება და საერთოდაც, ბოლო მნიშვნელოვანი რბოლაა „დიდი მარყუჟის“ წინ. ამიტომაცაა, რომ შვეიცარიაში, ტრადიციულად, საკმაოდ ძლიერი მრბოლები ჩადიან ხოლმე და გამონაკლისი არც წლეულს არის.

კანსელარამ პროლოგის 3800 მეტრი 4 წუთსა და 20 წამში დაფარა და ესოდენ მოკლე გზისთვის შეუფერებლად ბევრი — 8 წამი მოუგო მეორე ადგილზე გასულ ფრანგ დანიელ ბენატის, ვინც იტალიური „ლამპრეს“ ღირსებას იცავს. მესამე ადგილზე გამარჯვებულთან ცხრაწამიანი ჩამორჩენით „კაისე დეპარგნის“ ესპანელი ხოსე გუტიერესი გავიდა.

ცნობილი სახეებიდან, „გეროლშტაინერის“ გერმანელმა შტეფან შუმახერმა კანსელარასთან 12 წამი წააგო, ხოლო მეორე გერმანელმა, „ასტანას“ მრბოლმა ანდრეას კლოდენმა — 13.

აქვე გეტყვით, რომ „შვეიცარიის ტური“ რვაეტაპაა და ბოლო, მე-8 ეტაპი 34-კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლა იქნება, რაც კანსელარას შანსებს, მოიგოს მშობლიური შეჯიბრი, საკმაოდ ზრდის.

მით უმეტეს, რომ შვეიცარიელი მარტო ინდივიდუალურ რბოლებში კი არ არის ძლიერი, ჯგუფურ რბოლებშიც საკმაოდ მაგარია და ეს პირველივე, 159-კილომეტრიან ეტაპზეც დაამტკიცა, რომელიც ოლტენიდან ლუცერნამდე იყო გაჭიმული.

არა, კანსელარას ამჯერად არ მოუგია, მხოლოდ მესამე იყო, მაგრამ როდესაც საფინიშო ბრძოლაში ამ საქმის ისეთ დიდოსტატებს მოიტოვებ უკან, როგორებიც ავსტრალიელები სტიუარტ ოგრეიდი და რობი მაკიუენი არიან, ეს რაღაცას ნიშნავს.

კანსელარა ფინიშთან მესამე იყო, ეტაპი კი 36 წლის გერმანელმა ვეტერანმა ერიკ ცაბელმა მოიგო, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ საქვეყნოდ გამოტყდა, 90-იან წლებში დოპინგს ვიღებდიო.

იტალიური „მილრამოს“ მრბოლმა 159 კილომეტრი 4 საათში 4 წუთსა და 56 წამში გალია და ბოლო მეტრებზე აჯობა იტალიელ დანიელე ბენატისა და კანსელარას. საერთო ჩათვლაში კი კვლავაც ეს უკანასკნელი ლიდერობს. ბენატი მას 7 წამით ჩამორჩება, ხოლო მესამე ადგილზე მყოფი ესპანელი ხოსე გუტიერესი შვეიცარიელთან 15 წამს აგებს.

# ორწლიანი ბასო



**შარშანდელი** „ჯირო დიტალიას“ ტრიუმფატორი ივან ბასო იტალიის ველოსპორტის ფედერაციის სპეციალურმა კომისიამ ორწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.

ბასო, ვინც სკანდალურად ცნობილი ესპანელი ექიმის, ეუფემიანო ფუენტესის ყბადაღებულ დოპინგსკანდალში ფიგურირებს და ფუენტესის ერთ-ერთ კლიენტად ითვლება, პარასკევს წარდგა კომისიის წინაშე.

მანამდე მრბოლმა თავად აღიარა ფუენტესთან კავშირი და ამ ნიადაგზე იტალიის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა კომისიას რეკომენდაცია მისცა, ბასო 21-თვიანი დისკვალიფიკაციით, ანუ მაქსიმუმ ორწლიანზე სამი თვით ნაკლებით დაესაჯათ.

იტალიის ეოკ-ის ამ წინადადებას არ დაეთანხმა ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირი. UCI-ს შეფებმა მრბოლის მაქსიმალური ვადით დასჯა მოითხოვეს და მიაღწიეს კიდეც თავისას — იტალიის ველოსპორტის ფედერაციის სპეციალურმა კომისიამ, როგორც ვთქვით, მრბოლს ორწლიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბასოს მომავალი წლის ოქტომბრამდე არ ექნება რბოლებში მონაწილეობის უფლება, ანუ ვერც გაისად გამოვა „ჯიროსა“ და „ტურზე“, რომელთა წყვილად მოგებასაც შარშან აპირებდა.

მიუხედავად ასეთი სასჯელისა, ივან ბასომ განაჩენის გამოტანის შემდეგ განაცხადა, რომ მშვიდად შეხვდა კომისიის ვერდიქტს და არ აპირებს დიდი სპორტიდან წასვლას. ვარჯიშს გავაგრძელებ და აუცილებლად დავბრუნდები, რათა 2009 წელს ისევ გამარჯვებებისთვის ვიბრძოლოო.

ეროვნული ბიბლიოთეკა






# ერთა თასის ბრძოლები

მსოფლიო ერთა თასი რაგბიში, რომელიც პირველად ჩატარდა ბუქარესტის მინდვრებზე, როგორღაც აცდა ჩვენს ხმაურიან საინფორმაციო საშუალებებს, არადა ტურნირი საინტერესო იყო და იქ ქართველებმა სძლიეს ნამიბიელებს და იტალიელებს, ჯამურად კი მესამე ადგილი დაიკავეს. თასი სამხრეთ აფრიკელმა „მზარდმა ქურციკებმა", 23 წლამდე ასაკის ბიჭებმა მოიგეს და თუმცა, ეს არ იყო ძირითადად ეროვნულ-შემადგენლობათა შეჯიბრი (მაგალითად, ჩვენ 12 მთავარი კაცი გვაკლდა), წინასამსოფლიოთასოდ გვარიანი მოსათელი ტურნირი გახლდათ და ბრძოლები, როგორ ყოველთვის ფიცხელი და სასარგებლოც იყო. საქართველოს რაგბის უფროსობა კმაყოფილი დარჩა, და ჩვენც კმაყოფილნი დავრჩებოდით, რომელიმე არხზე რომ თვალი მოგვეკრა ამ მატჩებისთვის.












სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია აბულაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კუთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლელა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაб წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge